საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცეილებით და ჯოხებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 2 დეკემბერი, 2014 წელი.

№243 (7623)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge | ვებ გვერდი: www.open.ge | ფასი 50 თეთრი.

◎ დღის ამოჭრაზურიდან

როცა ძაღლი შინ არ ვარგა და სხვაგან სანადიროდ მიჰყავთ...

— **მიკვირს** და გამკვირვებია ამ უკრაინის საქმე.

— რაო, რამ გაგაკვირვა?

— რამ გამაკვირვა და, ნუთუ ამხელა უკრაინაში შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ ვერავინ ვერ ნახეს, რომ საქართველოდან გადახვეწილ ეკა ზღულაძეს მიადგნენ?

— ზღულაძეს ვინ ჩივის, კორუფციის წინააღმდეგ საბრძოლველად საგანგებოდ შეუქმნეს თურმე დეპარტამენტი ავად სახსენებელ ზურაბ ადეიშვილს, რომელსაც საქართველოში ჩადენილი ცოდვების კუდი აქედან უნგრეთამდე გასდევს, სადაც ის დღემდე აფარებს თავს.

— ზღულაძე და ადეიშვილი კი არა, შე კარგო ადამიანო, აგერ ძებნილ ექს-პრეზიდენტ სააკაშვილს ვიცე-პრემიერობას უპირებენ, როგორც დიდ რეფორმატორსა და როგორც მიშა აღმაშენებელს.

— მთელი ეს ამბავი ძალიან ცუდი რამის მიმანიშნებელია. თუკი ჩვენ, ქართველი ხალხი, თავს მოვალედ ვგრძნობთ, რომ პატივი ვცეთ უკრაინელ ხალხს, რატომ ამასვე არ ფიქრობს ამჟამინდელი უკრაინის ხელისუფლება და პირადად ოლიგარქი პეტრე პოროშენკო, რომელიც ნეტავი რა ხასიათზე დადგებოდა, რომ ჩვენ საქართველოში პრემიერად დაგვენიშნა, ან თუნდაც ვიცე-პრემიერად, უკრაინის გაძევებული პრეზიდენტი ვიქტორ იანუკოვიჩი და სამინისტროებში გადაგვენაწილებინა იანუკოვიჩის დროინდელი მთავრობის წევრები?

— განა ასეთი საქციელი ჩვენი ხალხების კეთილი ურთიერთობისა და მეგობრობის მიმანიშნებელი იქნებოდა?!

— პირდაპირ დამნაშავე და ფრიად საეჭვო კადრების საქართველოდან უკრაინის ამჟამინდელ ხელისუფლებაში დაწინაურება არა მარტო ქართველი ხალხის, არამედ თვითონ უკრაინელი ხალხის შეურაცხყოფაც მგონია.

— ბრალდებულ სააკაშვილსა და ადეიშვილზე თუ დაუდგათ საქმე და ამ ბოროტმოქმედი ადამიანებით აპირებენ ქვეყნის მართვას, ნამდვილად კარგი პირი არ უჩანს პოროშენკოსა და იაცენიუკის მმართველობას. არა მგონია, ამ კადრობანას აშკარად გაუაზრებელ თამაშს კეთილი ბოლო ჰქონდეს.

— რას იზამთ, ასეა, როცა ორ ავად პოლიტიკურ მოთამაშეს ერთი არცთუ კეთილი მიზნების მქონე პატრონი ჰყავს...

ჩაიწერა
გურამ წიკლაურმა

სოხუმისა და თბილისის პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებისადმი

8

ვის შეუძლია დაგვაჯარიმოს და რამდენით?



7

პური არ გაძვირდებაო!

პურპროდუქტების მწარმოებელი კომპანიები პურზე ფასის მატებას არ ვარაუდობენ. როგორც პურპროდუქტების ასოციაციის თავმჯდომარემ მალხაზ დოლიძემ განაცხადა, ფქვილის მარაგები არის და,შესაბამისად, ფასზე მატება ამ დროისთვის არ არის ნავარაუდევი.

„რაც იყო ფქვილის ფასი, ფაქტობრივად, არ შეცვლილა. ჯერჯერობით არ არის ნავარაუდევი ფასის მატება. 50-კილოგრამიანი ტომრის ფასი იგივეა და 36-37 ლარს შეადგენს. მარაგები არის. კონკურენციაა და ფასი სტაბილურია“, — განაცხადა დოლიძემ.

მეხორბლეთა ასოციაციის თავმჯდომარის ლევან სილაგავას თქმით კი, ლარის გაუფასურებამ, რუსეთში ხორბლის გაძვირებამ და სხვა პროცესებმა ცუდად იმოქმედა, თუმცა, პური არ გაძვირებულა.

მისივე თქმით, ფქვილის მიმდინარე ფასი — 35-36 ლარი — არ არის ის ციფრი, რომლითაც შეიძლება პურის ფასმა მოიმატოს. სილაგავას განმარტებით, პურის ფასი იმატებს დაახლოებით 45 ლარზე, ამ ნიშნულამდე კი დიდი ფორაა.

საბიუჯეტო მკითხაობა

2

აი, საიდან მოდის სახელფასო „ბულემია“

6

ყოფილი გუბერნატორების პრემიები და დანამატები

რატომ არის ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია გაბრაზებული?

5

კონსტიტუციაში ჩადებული ანტი-კონსტიტუციური რეგულაციები



3

არაკომპეტენტური თანამდებობის პირები — „მზითვად?!“

4

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ ინფორმაცია

კომისიის პირველი სხდომა

პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მთავრობის ადმინისტრაციაში გუშინ რეგიონული განვითარების კომისიის პირველი სხდომა გაიმართა.

„რეგიონების განვითარება ჩვენი ხელისუფლების მთავარი პრიორიტეტია, მომავალი წლიდან კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს რეგიონული პროექტების ხელშეწყობას“, — განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა.

კომისიის პირველ სხდომას მინისტრები, მხარის რწმუნებულები და პარლამენტის წევრები დაესწრნენ. შეხვედრაზე დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებზე, კომისიის მიზნებსა და ამოცანებზე იმსჯელეს.

როგორც პრესსამსახურში აცხადებენ, სხდომის გადაწყვეტილებით, კომისიის შემადგენლობა გაიზრდება და სამუშაო ჯგუფები შეიქმნება. საუბარი შეეხო რეგიონული განვითარების საკითხებს როგორც ინფრასტრუქტურული, ისე საგანმანათლებლო მიმართულებით.

მათივე ინფორმაციით, კომისიის სხდომაზე ასევე ითქვა, რომ საქართველოს მთავრობა ახლო მომავალში საზოგადოებას რეგიონული განვითარების კონცეფციას წარუდგენს.

ოთარ დანელიამ სამინისტროს ორწლიანი საქმიანობა შეაჯამა

სოფლის მეურნეობის მინისტრმა ოთარ დანელიამ სამინისტროს ორწლიანი საქმიანობა შეაჯამა. „საქართველოს მთავრობა — ღია მმართველობისთვის“ ფარგლებში სოფლის მეურნეობის მინისტრის ანგარიშის წარდგენას ეკონომიკის მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური, მთავრობისა და საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლები დაესწრნენ.

„2013-14 წლები გამოირჩეოდა მნიშვნელოვანი ზრდით პრაქტიკულად ყველა მიმართულებით; მე ხაზს გავუსვამ ძალიან წარმატებულ რთველს, აგროდაზღვევის პროექტს, სუბსიდირების პროგრამებს, ინსტიტუციურ განვითარებას. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ეს არის პროცესი, რომელიც გრძელდება ასევე 2015 წელს. ჩვენ შევიმუშავეთ ახალი სტრატეგია, რომელშიც გათვალისწინებულია სამინისტროს ღონისძიებები 2020 წლამდე“, — განაცხადა დანელიამ.

ეკონომიკის მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის განცხადებით, სოფლის მეურნეობის სამინისტროში ძალიან ბევრი კარგი საქმე გაკეთდა და სოფლის მეურნეობის წახალისება ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად რჩება.

მოქალაქეს, რომლის მიმართაც ფარული მოსმენა-მიყურადება განხორციელდა, ამის შესახებ უნდა ეცნობოს

ფიზიკური პირი, დაინტერესების შემთხვევაში, პასუხს კითხვაზე, მიმდინარეობს თუ არა მისი ფარული მოსმენა, ვერ მიიღებს, თუმცა, აგვისტოში „სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში“ ფარული საგამოძიებო მოქმედების შეტყობინების ვალდებულება ჩაიდო — ნებისმიერ პირს, იქნება ეს სამართალწარმოების მხარე, თუ მესამე პირი, აუცილებლად უნდა ეცნობოს, რომ მის მიმართ ფარული ღინისძიება განხორციელდა, ხოლო საკითხს, თუ როდის უნდა ეცნობოს, პროკურორი წყვეტს.

განმარტება იმის თაობაზე, თუ რა უფლებები შეიძლება გამოიყენონ მოქალაქეებმა ფარულ მოსმენა-მიყურადებასთან მიმართებით, „ინტერპრესნიუსმა“ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ხელმძღვანელს ვახტანგ ხმალაძეს სთხოვა.



„არსებობს კონსტიტუციური ნორმა, რომელიც ამბობს, რომ მოქალაქეს უფლება აქვს, მოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებში თავის შესახებ არსებული ინფორმაცია. ეს ეხება პირად მონაცემებს, ანუ თუ თქვენზე სადმე რამე ინფორმაცია დევს, უნდა გითხრან. მხოლოდ ერთი შემთხვევაა, როცა შეიძლება ასეთი ინფორმაცია არ გითხრან — ეს არის შემთხვევა, თუკი ხართ სისხლის სამართლის საქმის ფიგურანტი, თუკი გამოძიება მიმდინარეობს, გამოძიების მასალები საიდუმლოა, ვიდრე ის სასამართლოში არ წავა. ფარული მოსმენა შეიძლება განხორციელდეს ისეთ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს სისხლის სამართლის დანაშაულს და მიმდინარეობს საქმის ძიება, ასევე როცა ადგილი აქვს პირის ძებნას; იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს სახელმწიფო უსაფრთხოების დარღვევას და საქმეს კონტრდაზვევრვის სამსახური იკვლევს. მიმდინარე წლის აგვისტოში განხორციელებული ცვლილებებით კანონში ჩაიდო ნორმა, რომლის მიხედვით, ვთქვათ ვიღაცის მიმართ მიმდინარეობს გამოძიება, ამ პირმა თქვენ დაგირეკათ, თქვენ დანაშაულთან არანაირი კავშირი არა გაქვთ, მაგრამ ეს მონაცემი იყო ჩაწერილი, როცა გამოძიება დასრულდება, თქვენ უნდა გაცნობონ მოსმენის თაობაზე და იმის შესახებ, რომ მასალა განადგურდა. შეიძლება გისმენდეს სახელმწიფო და შეიძლება გისმენდეს კერძო პირი, თუ უკანონო მოსმენას აქვს ადგილი, ამას ვერც ერთი და ვერც მეორე მტკიცებულებად ვერ გამოიყენებს და თუ კითხვას დასვამ, მისმენს თუ არა, გეტყვის, რომ არ გისმენს. მერე მიდი და არკვიე, გისმნენ თუ არ გისმენენ“, — აცხადებს ხმალაძე.

◎ ეკონომიკა

საბიუჯეტო მკითხაობა

უკვე მეორე წელია, ბიუჯეტი დიდი გამოცდის წინაშეა. წლევანდელი იანვარ-ოქტომბრის ანგარიშის მიხედვით, ქვეყნის ბიუჯეტში 7,174 მილიარდი ლარი შევიდა, 2014 წლის გეგმა კი 9,105 მილიარდი ლარია. ბიუჯეტის შესრულებას 22% უკლია, რაც წლის დარჩენილ პერიოდში ერთი შეხედვით შეუსრულებელი ამოცანაა.

არ არის გამორიცხული, დეკემბრის ბოლოს ბიუჯეტს 200-300 მლნ ლარი დააკლდეს. შარშანდელთან შედარებით ეს უკეთესი მაჩვენებელი კი იქნება, მაგრამ საბიუჯეტო პარამეტრების სრულად შესრულება საფრთხის ქვეშაა.

2 თვეში 2 მილიარდი ლარის შეგროვება, რა თქმა უნდა, უკიდურესად გაჭირდება. მთავრობამ 1 თვეში 1 მილიარდი მხოლოდ ერთხელ — სექტემბერში - შეაგროვა. შეიძლება წლის ბოლომდე ბიუჯეტში უფრო მეტი თანხა შევიდეს, ვიდრე საშუალოდ ყოველთვე შედის, მაგრამ ეს შეიძლება საკმარისი არ აღმოჩნდეს.

საქართველოს პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის თავმჯდომარის მოადგილე პაატა კვიჟინაძე ოპტიმისტურად უყურებს მოვლენებს. იგი არ ეთანხმება პესიმისტურ მოსაზრებებს, რადგან ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი გადაჭარბებით სრულდება.

„მართალია, შემოსულობების ნაწილში ცოტა პრობლემები შეინიშნება, მაგრამ წლის ბოლომდე ეს ნაწილიც შესრულდება და თუ არ შესრულდება, ჩამორჩენა უმნიშვნელო იქნება. პრობლემა უფრო ხარჯვით ნაწილში გვაქვს, მაგრამ იმედია, ესეც კატასტროფული არ იქნება, რადგან აშკარა გაუმჯობესება იგრძნობა ინფრასტრუქტურული პროექტების შესრულების მხრივ“, — ამბობს კვიჟინაძე და დასძენს, რომ ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის მდგომარეობას პარლამენტში მალე წარადგენენ. ამიტომ საბოლოო შედეგების გაცნობის გარეშე ამ თემაზე ლაპარაკი ცოტა ნაადრევია:

„ჩემი აზრით, ბიუჯეტი არ გაირღვევა, მაგრამ თუ ხარჯვით ნაწილში რაღაც ვერ შესრულდება, ეს ჩვენი ეკონომიკისათვის სერიოზული პრობლემა არ იქნება“, — განაცხადა დეპუტატმა.

სპეციალისტები კი ხელისუფლების წარმომადგენელთა შემართებას არ იზიარებენ. ისინი კარგა ხანია აკვირდებიან საბიუჯეტო პროცესებს და წლის ბოლოს პრობლემას ოქტომბრიდან მოყოლებული პროგნოზირებენ. მით უფრო კი ახლა, როდესაც აშკარაა, რომ ბიუჯეტის გარღვევა ფაქტია.

„ზოგიერთი ჩემი კოლეგის ვარაუდით, არ არის გამორიცხული, რომ დეკემბრის ბოლოს ბიუჯეტს 300 მილიონ ლარამდე დააკლდეს, ჩემი აზრით, ეს ყველაზე უკეთესი ვარიანტია. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების ნაწილში გეგმა შესრულებულია. შემოსავლების სამსახური მართლაც კარგად მუშაობს და წელს ამ მიმართულებით პრობლემა არ გვაქვს, მაგრამ საბიუჯეტო შემოსულობები მარტო საგადასახადო შემოსავლები არ არის, ამას ემატება გრანტები, კრედიტები და სხვა შემოსავლებიც. სამწუხაროდ, კრედიტების ნაწილში სერიოზული ჩამორჩენა გვაქვს, რაც აშკარად მენეჯმენტის პრობლემაა. ფაქტია, რომ სახელმწიფო ვერ ახერხებს ჯერ კიდევ წლის დასაწყისში დაგეგმილი კრედიტების ათვისებას.

ეს ერთი პრობლემაა, მაგრამ გარდა ამისა, გვაქვს ხარჯვითი ნაწილი, სადაც სერიოზული ხარვეზებია. ზოგიერთი სახელმწიფო უწყების მიერ თანხა სრულად არის ათვისებული, მაგრამ რიგი სამინისტროებისა, განსაკუთრებით კი, ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ვერ ასრულებს გეგმით გათვალისწინებული ხარჯების ათვისებას და შედეგიც სახეზეა“, — აცხადებს სააგენტო „ბიპიენთან“ საუბრისას ეკონომიკის ექსპერტი ლევან კალანდაძე.

მისი თქმით, ბიუჯეტთან დაკავშირებით მკითხაობა სულაც არ არის საჭირო, ამას სჭირდება სახაზინო ანგარიშებში ჩახედვა, სადაც შავით თეთრზე წერია, რომ როგორც შემოსულობების, ასევე ხარჯვით ნაწილში გეგმა შეუსრულებელია.

„ვიღაცას ამის აღიარება თუ არ უნდა და პოლიტიკური კონტექსტიდან გამომდინარე, იხტიბარს არ იტეხს, ეს სულ სხვა თემაა. ხაზინის დეპარტამენტის მიერ გამოცემულ ანგარიშში კი წერია, რომ გეგმა ორივე მიმართულებით შეუსრულებელია. აქედან გამომდინარე, პროგნოზი, რომ 2014 წლის ბიუჯეტი გაირღვევა, სავსებით რეალური და საფუძვლიანია. იმედი არ მაქვს, რომ ჩამორჩენა, რომელიც 10 თვის განმავლობაში გვქონდა, ახლა დაიძლევა, ეს ყოველად წარმოუდგენელია“, — დასძინა კალანდაძემ.

ბექა დანელია

რით დაიმსახურეს საკრებულოს წევრებმა ამხელა პრემია

2013 წლის 1 ნოემბერიდან — 2014 წლის ივნისის ჩათვლით თბილისის საკრებულოს წევრებზე 1 247 206 ლარის პრემია გაიცა. აღნიშნულ რვა თვეში საკრებულოს მაშინდელ თავმჯდომარეს ირაკლი შიხიაშვილს პრემიის სახით მიღებული აქვს 54 516 ლარი, გიორგი მუსხელიშვილს — 45 430 ლარი, გიორგი ტყემალაძეს და ჯაბა სამუშიას — თითოეულს 43 890 ლარი. საკრებულოს სხვა წევრების მიერ მიღებული პრემიების ოდენობა უმრავლეს შემთხვევაში ასევე არ არის 40 000 ლარზე ნაკლები.

რვა თვეში გაცემული პრემიის თანხა თითქმის სამჯერ მეტია 2013 წლის საწყისი 10 თვის განმავლობაში საკრებულოს წევრებზე გაცემული პრემიების ოდენობაზე (439 276 ლარი).

რაც შეეხება 2014 წლის ივნისის შემდეგ არსებულ სიტუაციას, IDFI აღნიშნავს რომ ახალი საკრებულოს მოწვევის პირობებში საკრებულოს წევრებზე პრემიები აღარ გაიცემა, ხოლო აპარატის თანამშრომელთა წახალისების პრაქტიკაც მნიშვნელოვნად შემცირებულია და 2014 წლის ივლისი-ნოემბრის პერიოდში აპარატის თანამშრომლებზე პრემიის სახით სულ გაცემულია 271 390 ლარი.

„2014 წლის საწყისი 6 თვის განმავლობაში არაგეგმიურად გაცემული მაღალი ოდენობის პრემიებმა გამოიწვია თბილისის ბიუჯეტის პროექტით შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული თანხების მნიშვნელოვანი გაზრდა — 2014 წლის ნოემბრის თვის მდგომარეობით თბილისის საკრებულოს შრომის ანაზღაურების გეგმამ უკვე შეადგინა 8 338 000 ლარი. 2014 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, თბილისის საკრებულოს შრომის ანაზღაურებისათვის გათვალისწინებული იყო 6 959 000 ლარი, საიდანაც 2014 წლის საწყისი ექვსი თვის განმავლობაში მხოლოდ პრემიებზე ათვისებულია 3 487 270 ლარი.

ამასთან, IDFI დაინტერესდა, საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა მიიღო თუ არა პრემია ახალ თანამდებობაზე. ამ დრომდე არსებული მონაცემებით, შიხიაშვილს ვეტერანთა საქმეთა სახელმწიფო სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე პრემია ან დანამატი არ მიუღია. ირაკლი შიხიაშვილი აღნიშნულ თანამდებობაზე სამი თვის წინათ დაინიშნა.

◎ ინფორმაცია

ევროკავშირის წევრობა საფრანგეთს აზიანებს

საფრანგეთის „ეროვნული ფრონტის“ ლიდერის მარი ლე პენის განცხადებით, ევროკავშირის წევრობა საფრანგეთს აზიანებს. ევროკავშირის მწვავე კრიტიკით მარი ლე პენი ლიონში, საკუთარი პარტიის ყრილობაზე გამოვიდა. ამასთან, მარი ლე პენმა სოციალურ ქსელ twitter-ში საკუთარ გვერდზე დაწერა, რომ „ევროკავშირი იქცა სასტუმროდ, რომელსაც ფართოდ აქვს კარი გაღებული მსოფლიო სიღარიბისა და მასობრივი იმიგრაციისთვის“.

„საფრანგეთი საკუთარ სულს კარგავს, ეტაპობრივად იქცევა ჩვეულებრივ ტერიტორიად, სხვისი მმართველობის ხელში“, — აცხადებს მარი ლე პენი.

უფრო ადრე მარი ლე პენმა განაცხადა, რომ 2017 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მისი პრეზიდენტად არჩევის შემთხვევაში, საფრანგეთის ევროკავშირიდან გასვლის თაობაზე რეფერენდუმს ჩაატარებს.

კონსტიტუციაში ჩადებული ანტიკონსტიტუციური რეგულაციები

რას გვასწავლის საქართველოს კონსტიტუცია, პრეზიდენტის ვეტოს წონა და პოლიტიკური კრიზისი

ჯერ კიდევ 2010 წელს, როდესაც საქართველოს კონსტიტუციის ახალი ვარიანტი შემუშავდა, მიუთითებდნენ, რომ ის ორიენტირებული იყო არა კრიზისების განმუსტვაზე, რაც, წესითა და რიგით, კონსტიტუციის პირდაპირი მოვალეობაა, არამედ – ძირითადად, კრიზისების შექმნაზე. ამ თუ სხვა მიზეზით, „თავისუფალი დემოკრატების“ მიერ საპარლამენტო უმრავლესობის დატოვება პოლიტიკურ კრიზისად შეფასდა, რასაც ამძაფრებს პრეზიდენტის მიერ თავისი ფორმალური თუ არაფორმალური უფლებამოსილებების აქტიურად გამოყენების შემთხვევებიც, მათ შორის – ვეტოს უფლება. შეიცავს თუ არა შექმნილი ვითარება პოლიტიკური კრიზისის ნიშნებს და, საერთოდაც, რას ნიშნავს კრიზისი საქართველოს კანონმდებლობით? – თემას თსუ-ს ასოცირებულ პროფესორთან, იურისტ ირაკლი კობახიძესთან ერთად განვიხილავთ.

– დავიწყოთ იმით, თუ როგორ განმარტავს ჩვენი კონსტიტუცია კრიზისს და რა შემთხვევებს მოიაზრებს კრიზისად?

– კრიზისში, უპირველესად, მოიაზრება ვითარება, როდესაც პარლამენტში არ არის ჩამოყალიბებული მყარი უმრავლესობა, საპარლამენტო უმრავლესობას უჭირს პრინციპული გადაწყვეტილებების მიღება, რასაც სჭირდება პარლამენტის სრული შემადგენლობის 76 ხმა. შეიძლება, ასეთი უმრავლესობა ვერ მოგროვდეს პარლამენტში, რაც, მაგალითად, შეუძლებელს გახდის ბიუჯეტის მიღებას, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების დანიშვნას, ანუ იმ გადაწყვეტილებების მიღებას, რაც საჭიროებს 76 ხმას.

ამას გარდა, ასეთ ვითარებაში მეტი წონა ენიჭება პრეზიდენტის ვეტოს არა მხოლოდ ორგანული, არამედ ჩვეულებრივი კანონების მიმართაც. მოგეხსენებათ, ჩვეულებრივი კანონები მიიღება სხდომაზე დამსწრეთა უმრავლესობით და, ამდენად, მათი მიღება შესაძლებელია არამყარი უმრავლესობის პირობებშიც, მაგრამ მათი დამტკიცება შეიძლება, გართულდეს პრეზიდენტის მიერ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში, რადგან პრეზიდენტის ვეტოს დაძლევას უკვე 76 ხმა დასჭირდება და ამანაც შეიძლება, შეუქმნას პარლამენტს პრობლემები. ეს უკვე კრიზისის ნიშნების შემცველი მოვლენაა.

გარდა ამისა, კრიზისად მოიაზრება ვითარება, როდესაც არსებობს დაპირისპირება პარლამენტსა და მთავრობას შორის. თუ მთავრობას არ ჰყავს მყარი უმრავლესობა პარლამენტში და მათ შორის ერთგვარი კონფლიქტია, კრიზისის განმუსტვის უზრუნველსაყოფად შეიძლება, ჩაერთოს პრეზიდენტი.

– რას ნიშნავს პრეზიდენტის ჩართვა კრიზისის განმუსტვის უზრუნველსაყოფად?

– პრეზიდენტს მეტწილად, მაინც, ერთგვარი სიმბოლური კომპეტენციები აქვს, ამ კუთხით. მაგალითად, როდესაც ბიუჯეტის არმიღების საფუძველზე უცხადდება უნდობლობა მთავრობის შემადგენლობას. ასეთ შემთხვევაში პრეზიდენტს არანაირი დისკრეცია არა აქვს მინიჭებული: თუ პარლამენტმა არ მიიღო ბიუჯეტი, ამის შემდეგ იწყება უნდობლობის გამოცხადების პროცედურა და, თუ პარლამენტმა ეს პროცედურა ვერ მიიყვანა ბოლომდე, პრეზიდენტი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულია, დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს რიგგარეშე არჩევნები, ანუ ამ კუთხით, პრეზიდენტს ენიჭება პარლამენტის დათხოვნის ერთგვარი ფორმალური უფლებამოსილება. ამასთან, საქართველოს პარლამენტს შეუძლია, აღძრას მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხი ჩვეულებრივი წესით.

– რა საფუძვლები აქვს პარლამენტის მიერ მთავრობისადმი ჩვეულებრივი წესით უნდობლობის გამოცხადების საკითხის აღძვრას?

– მთავრობისადმი უნდობლობის ჩვეულებრივი წესით აღძვრას არ სჭირდება რამე განსაკუთრებული საფუძველი. ეს არ არის სუფთა სამართლებრივი პროცედურა, უპირველესად, ეს არის პოლიტიკური პროცედურა. ამდენად, თუ არ არსებობს პოლიტიკური ნდობა მთავრობასა და პარლამენტს შორის, პარლამენტს ნებისმიერ დროს შეუძლია, აღძრას მთავრობისადმი უნდობლობის გამოცხადების საკითხი.

– როგორია ეს პროცედურა?

– ძალიან გართულებული, რაც იყო კიდეც ვენეციის კომისიის ერთ-ერთი მთავარი კრიტიკის საგანი. მოგეხსენებათ, თავის დროზე, კონსტიტუციის ავტორთა აქცენტი გადატანილი იყო იმისკენ, რომ მაქსიმალურად გაეფართოებინათ პრემიერ-მინისტრის ძალაუფლება და მიენიჭებინათ მისთვის ხელშეუხებლობის გარანტიები. ამიტომაც მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების პროცედურა ძალიან გაართულეს. სირთულეა ისიც, რომ პროცედურა დროშია გაწელილი. როგორც წესი, ორ თვეს ან უფრო მეტს წაიღებს, გააჩნია, რა როლს შეასრულებს პრეზიდენტი.

როდესაც პარლამენტი დასვამს მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადების საკითხს, ამის შემდეგ წამოაყენებენ პრემიერ-მინისტრის ახალ კანდიდატურას, რომელიც უნდა მიიღოს პრეზიდენტმა.

– აუცილებელი წესით თუ აქვს რამე უფლებები?

– პრეზიდენტს შეუძლია, მიიღოს ორი ალტერნატიული გადაწყვეტილება: მას შეუძლია, წამოაყენოს პრემიერ-მინისტრის პარლამენტის მიერ შემოთავაზებული კანდიდატი, ან უარი თქვას, ანუ აქვს ერთგვარი ვეტოს უფლება. პარლამენტს კი შემადგენლობის სამი მეხუთედით შეუძლია ამ ვეტოს გადალახვა. თუ პარლამენტი მოაგროვებს ამ 90 ხმას და გადალახავს პრეზიდენტის ვეტოს, მაშინ უნდობლობის გამოცხადების პროცედურა გაგრძელდება, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროცედურა დასრულდება. რეალურად, ვეტოს ეს უფლება თავის დროზე, 2010 წლის ცვლილებებით, პრეზიდენტს მიენიჭა იმისთვის, რომ პრემიერ-მინისტრის პოზიციები მაქსიმალურად გამყარებული და დაცული ყოფილიყო, ანუ ეს იყო კონსტიტუციური პრინციპების საწინააღმდეგო რეგულაცია, რომელიც შეგნებულად ჩაიდო კონსტიტუციაში 2010 წლის ცვლილებების განხორციელების დროს. სადამდე შეიძლება, მიგვიყვანოს ამ რეგულაციამ დღეს? შეიძლება, შეიქმნას ვითარება, როდესაც პარლამენტში არ იქნება ჩამოყალიბებული მყარი უმრავლესობა და, აქედან გამომდინარე, შეიძლება, პარლამენტმა და მთავრობამ მიიღოს პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ ჩატარდეს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები. პრეზიდენტს შეუძლია ამ არჩევნების წინააღმდეგ წასვლა, მას შეუძლია, დაბლოკოს რიგგარეშე არჩევნები იმით, რომ დაადოს ვეტო მთავრობისთვის უნდობლობის გამოცხადებას და თავიდან აირიდოს რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები.

მაგრამ, თუ პრეზიდენტმა არ გამოიყენა ვეტოს უფლება ან მისი ვეტო დაძლია პარლამენტმა, მაშინ, შესაძლოა, გამოუცხადდეს უნდობლობა მთავრობის შემადგენლობას და ასეთ დროს, ერთი მთავრობა შეიცვლება მეორე მთავრობით, რომელსაც პარლამენტი გამოუცხადებს ნდობას. თუ დადგა მთავრობის უნდობლობის საკითხი, მაგრამ პარლამენტმა ახალ მთავრობას ნდობა ვერ გამოუცხადა, ამ შემთხვევაში პრეზიდენტი უფლებამოსილია, დაითხოვოს საქართველოს პარლამენტი, ოღონდ ამ უფლებამოსილებას პრეზიდენტი ახორციელებს პრემიერ-მინისტრის კონტრასიგნაციით.

– ანუ პრემიერ-მინისტრის თანხმობით?

– დიახ. პრეზიდენტს, კონსტიტუციით, პარლამენტის დათხოვნის დისკრეციული უფლება არა აქვს მინიჭებული, ანუ ასეთ უფლებამოსილებას ის დამოუკიდებლად არ ახორციელებს, მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ბიუჯეტის მიღებას, თუ მისი მიღება ვერ ხერხდება, პრეზიდენტი უბრალოდ ვალდებულია, დაითხოვოს პარლამენტი ასეთ რთულ ვითარებაში, ამ მეორე შემთხვევაში კი, საბოლოო გადაწყვეტილებას, უნდა დაითხოვონ თუ არა პარლამენტი, იღებს პრემიერ-მინისტრი. ეს რეგულაცია იმიტომ ჩაიწერა კონსტიტუციაში, რომ, როდესაც პარლამენტი უცხადებს უნდობლობას მთავრობას, მაგრამ ბოლომდე ვერ უცხადებს რთული პროცედურის გამო, ასეთ ვითარებაში შეიძლება, მთავრობას არ აძლევდეს ხელს რიგგარეშე არჩევნების ჩატარება, ანუ ყველაფერი ორიენტირებული იყო იმაზე, რომ პრემიერ-მინისტრს მაქსიმალურად გახანგრძლივებოდა თავისი ყოფნა პრემიერ-მინისტრის პოზიციაზე, მაშინაც კი, როდესაც არ არსებობდა ნდობა პარლამენტსა და მთვრობას შორის და იმისათვის, რომ თავიდან აეცილებინა პარლამენტის დათხოვნა, რაც თავისთავად ნიშნავდა მთავრობის წასვლას და არჩევნების შემდეგ ახალი მთავრობის მოსვლასაც გულისხმობდა, პრემიერმინისტრს მიენიჭა კონტრასიგნაციის უფლება.

– ესე იგი, თუ მთავრობას ექნება პარლამენტში 76 გარანტირებული ხმა, კრიზისი ირიცხება?

– არის მთელი რიგი გადაწყვეტილებები, რომლებსაც არ ჰყოფნის 76 ხმა. იცით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს რამდენიმე მოსამართლეა დასანიშნი, რასაც სჭირდება პარლამენტში სიითი შემადგენლობის სამი მეხუთედი, რაც შესაძლოა, ვერ შეგროვდეს ასეთი კონფიგურაციის პარლამენტში. თუმცა, გადაწყვეტილებების უმეტესობა შეიძლება, ძალიან მარტივად მიიღონ, თუ პარლამენტში მთავრობას ეყოლება გარანტირებული 76 ხმა.

– დიდი სჯა-ბაასი გამოიწვია პრეზიდენტის ადგილმა სახელისუფლო შტოებში, პრეზიდენტი განეკუთვნება რომელიმე შტოს?

– კლასიკური გაგებით, თუ გავიაზრებთ კონსტიტუციური სამართლის დოქტრინას, არსებობს სამი სახელისუფლო განშტოება: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ეს არის კლასიკური ტრიადა, რაც დამახასიათებელია დემოკრატიული მმართველობისთვის. ამ სისტემაში კონსტიტუციით პირდაპირაა განსაზღვრული, რომ საკანონმდებლო შტო არის პარლამენტი, უმაღლესი აღმასრულებელი ორგანო არის მთავრობა, ხოლო სასამართლო მართლმსაჯულებას კი ახორციელებს საერთო სასამართლოების სისტემა და იქვეა საკონსტიტუციო სასამართლოც. რაც შეეხება პრეზიდენტს, ის არ განეკუთვნება არც ერთ შტოს, ის არის ხელისუფლების ნაწილი, მაგრამ არ არის ხელისუფლების შტო, რა გაგებითაც ამას მოიაზრებს კონსტიტუციური სამართალი, ანუ პრეზიდენტი დგას ამ სამი შტოს გარეთ, მინიჭებული აქვს არბიტრის ფუნქცია და ამ ცნებების ერთმანეთისგან გამიჯვნას აქვს პრინციპული მნიშვნელობა. იქ, სადაც პრეზიდენტი არის შტო, მაგალითად, კლასიკური ნახევრად საპრეზიდენტო და საპრეზიდენტო მმართველობა, პრეზიდენტი არის შტოების ურთიერდაბალანსების სისტემის ნაწილი, ანუ დემოკრატიულ სისტემაში შტოები: აღმასრულებელი, საკანონმდებლო და სასამართლო, ერთმანეთს აბალანსებს. რაც შეეხება ჩვენს, საპარლამენტო სისტემას: პრეზიდენტი არ არის სისტემის დაბალანსების ნაწილი, მას ენიჭება არბიტრის ფუნქცია, რაც პრინციპულად განსხვავდება დამბალანსებლის ფუნქციისგან. სპორტული შედარება რომ მოვიყვანოთ: საფეხბურთო ჩემპიონატში ერთმანეთს აბალანსებენ საფეხბურთო გუნდები და იმ შემთხვევაშია ჩემპიონატი საინტერესო, თუ გუნდები სათანადოდ აბალანსებენ ერთმანეთს, არბიტრს არა აქვს დაბალანსების ფუნქცია, ის უბრალოდ მეთვალყურეობს გუნდების მიერ წესების დაცვას და ასე უნდა იყოს გააზრებული არბიტრის ფუნქცია კონსტიუტუციურ სისტემაშიც, ანუ პრეზიდენტი არის ნეიტრალური, ის არ იბრძვის ძალაუფლებისთვის, მისი ფუნქცია არ არის პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელება და არსებითად არბიტრის ფუნქცია აქვს მინიჭებული. არის პოლიტიკური პროცესის, კონსტიტუციური სისტემის გარე დამკვირვებელი და, ამ დაკვირვებიდან გამომდინარე, პრინციპულ ვითარებაში ის იღებს პრინციპულ გადაწყვეტილებებს, ანუ კონკრეტულ შემთხვევაში იღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იყოს დაძლეული კრიზისი.

– გამოიყენა ამ ხნის განმავლობაში პრეზიდენტმა ეფექტიანად მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული არბიტრის ფუნქცია?

– ჩვენ ვნახეთ მის მიერ ვეტოს გამოყენება.

– ეს კონკრეტული ვეტო და, საერთოდ, ვეტო ნიშნავს არბიტრის ფუნქციის შესრულებას?

– დიახ, როდესაც პარლამენტი იღებს ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც არ შეესაბამება დემოკრატიულ პრინციპებს და რაც არ წაადგება დემოკრატიული სისტემის შემდგომ განვითარებას, პრეზიდენტი ერთვება, როგორც არბიტრი.

– თვითონ იღებს გადაწყვეტილებას – რა უწყობს თუ უშლის ხელს დემოკრატიის განვითარებას, თუ არსებობს რაღაც სტანდარტი?

– დიახ, ეს პრეზიდენტის დისკრეციაა. ვეტოს დადების მომენტისას ის დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში მოქმედებს და მისი გადასაწყვეტია იმის განსაზღვრა, თუ რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ კანონპროექტის ძალაში შესვლა და ამოქმედება. არბიტრის ფუნქციაზე შეგვიძლია, ვისაუბროთ კრიზისულ სიტუაციაში პარლამენტის დათხოვნის უფლებამოსილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტის ფუნქცია შეზღუდულია, მაინც არბიტრის როლს უთავსდება ყველა ის კომპეტენცია, რომლებიც პრეზიდენტს ამ კუთხით აქვს მინიჭებული.

– თუკი არ იარსებებს უმრავლესობა, ვეღარ იარსებებს უმცირესობაო. რა პრივილეგია აქვს უმცირესობას, გარდა კაბინეტ-მანქანისა?

– საქართველოს პარლამენტის რეგლამენტითაა დადგენილი, რომ უმცირესობა უნდა იყოს უმრავლესობის საპირწონე. შესაბამისად, თუ არ იქნა უმრავლესობა, არ იქნება უმცირესობაც. თავის დროზე მმართველი უმრავლესობა განზრახ არ ქმნიდა უმრავლესობას, რომ ოპოზიციას არ შეექმნა უმცირესობა. დღესაც, თუ დაიშალა უმრავლესობა, უმცირესობა ვეღარ იარსებებს. ასევე, რეგლამენტში გაწერილია პროცედურული პრივილეგიები, მაგალითად, საპარლამენტო დებატებისას სიტყვა ცალკე ეძლევა უმცირესობის ლიდერს და მის სიტყვას, ისევე, როგორც უმრავლესობის ლიდერის სიტყვას, აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა. ეს პრივილეგიები მნიშვნელოვანია პოლიტიკურად.

ნინო ხაჩიძე

◎ ვაი – ამომრჩეველს!

არაკომპეტენტური თანამდებობის პირები – „მზითვად?!“

საქართველოში **რომ პროფესიონალიზმის პრობლემა ყველა სფეროშია, ამაზე არვინ დავობს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ ყველაზე არაკომპეტენტური ადამიანები თავს იყრიან მერიაში, საკრებულოებსა და გამგეობებში. არადა, რამდენიმეწლიანი განხილვისა და დისკუსიის შემდეგ, როგორც იქნა, გადაწყდა, პირდაპირი წესით აგვერჩია მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელი პირები. შემოთავაზებული კანდიდატურები ავირჩიეთ ბრმად, პირადი სიმპათია-ანტიპათიის მიხედვით, ან ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერის გამო, მაგრამ არავის დაუსვამს კითხვა – არიან კი ეს ადამიანები კომპეტენტურები? მით უფრო, რომ საჯარო მოხელის აკადემიური კურსის გავლა ამ ადამიანებს სულაც არ მოეთხოვებოდათ.**



შეცვლილმა საკანონმდებლო ბაზამ და ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის გაკეთილშობილებამ წარმოშვა ისეთი პრობლემები, რომელთაც ადრე არავინ აქცევდა ყურადღებას, მაგრამ ამერიკულმა „USAID“-მა საჭიროდ მიიჩნია, ახლადარჩეული თანამდებობის პირებისთვის ტრენინგები, ანუ სასწავლო კურსები ჩაეტარებინა. და იცით, საიდან მოუწიათ „მოსწავლეებს“ ცოდნის დაუფლება? – „ანა-ბანადან“, ანუ მერეების, გამგებლების, საკრებულოების ხელმძღვანელთა დიდმა ნაწილმა არ იცოდა, თუ რა იყო მათი უფლება-მოვალეობა, როგორ შეეძლოთ სამართლებრივი საკითხების მოგვარება, ფინანსების განკარგვა და მართვა... პარადოქსია, მაგრამ ისინი ასეთ საკითხებში გაუთვითცნობიერებლები აღმოჩნდნენ.

ახლა კი რაც შეეხება ტრენინგ-პროგრამის დეტალებს. „USAID“-ის პროგრამამ „დემოკრატიული მმართველობა საქართველოში“ (G3) 2014 წლის ივლისოქტომბერში განახორციელა პროექტი **„ქვეყნის მასშტაბით 76-ვე მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულ თანამდებობის პირთა ადამიანური რესურსებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერება“**. პროექტს უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ „სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიის განვითარების ცენტრი“ და კოალიცია „თვითმმართველობისა და დემოკრატიისთვის“. ტრენინგები სამ ეტაპად ჩატარდა და მასში 770 საჯარო პირი მონაწილეობდა.

პროექტის პრეზენტაცია სასტუმრო „რედისონში“ გაიმართა, რომელსაც ესწრებოდნენ პროექტის დირექტორი **კონსტანტინე კანდელაკი,** რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე **თენგიზ შერგელაშვილი,** ორგანიზაცია „კარგი მმართველობა საქართველოში“ ხელმძღვანელი **მარის მიკელსონი** და დემოკრატიის განვითარების ცენტრის ხელმძღვნელი **ლადო ბოჟაძე**.

* * *

თენგიზ შერგელაშვილი: ყველა ვთანხმდებით იმაზე, რომ პრობლემები არის მმართველი პირების და ზოგადად საჯარო მოსამსახურეების კვალიფიკაციის მხრივ, განსაკუთრებით მუნიციპალიტეტში. ტრენინგები საჭიროა, მაგრამ აუცილებელია, რომ მათ საბაზისო ცოდნა სამსახურში დანიშვნამდე ჰქონდეთ. ბოლოს და ბოლოს, უნდა იცოდნენ ორგანული კანონი, კოდექსი და წარმოდგენა ჰქონდეთ თავიანთი უფლებამოსილებაზე. ამიტომაც მიდის აქტიური მუშაობა, რათა ატესტაციებისა და კონკურსების სისტემა შევცვალოთ, რომელსაც ზოგიერთი ეჭვის თვალით უყურებს.

ჩვენ წლების განმავლობაში გვესმოდა, ესა თუ ის თანამდებობის პირი არაკვალიფიციურიაო, მაგრამ არ ვიცოდით, რატომ; ამის შეფასება არასოდეს ხდებოდა. ვიღაც დაიკავებდა რაღაც თანამდებობას და მერე წლების განმავლობაში ებღაუჭებოდა სკამს. ასეთი მიდგომა აუცილებლად უნდა შევცვალოთ.

კოტე კანდელაკი: ტრენინგების მიმდინარეობისას გამოიკვეთა ის საკითხები, რომელიც ყველაზე მეტად აინტერესებდათ მერებსა და გამგებლებს. ეს იყო საკანონმდებლო საკითხები, საბიუჯეტო თემები, მოლაპარაკების სტრატეგია და გადაწყვეტილების მიღების წარმართვა. აპარატის თანამშრომლებს კი აინტერესებდათ შტატები და ანაზღაურების საკითხები (მოგეხსენებთ, რომ ხელფასების ასპექტში მუნიციპალიტეტებს უფლებამოსილება გაეზარდათ).

რაც შეეხება პრობლემებს, ძირითადად აინტერესებდათ, ინფრასტრუქტურა, წყალმომარაგება, კანალიზაცია, სარწყავი არხები, საბავშვო ბაღები – ეს ის თემებია, რომლებიც ზოგადად ყველა მუნიციპალიტეტს აღელვებს. ბევრი გვეკითხებოდა შეშის, გაზიფიცირების შესახებ, რომელიც მათ კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ მოსახლეობა სწორედ მათგან ითხოვს პასუხს.

* * *

როცა ამდენი თავსატეხი აქვთ მერებსა და გამგებლებს და თურმე ელემენტარულ საკითხებშიც კი უჭირთ გარკვევა, პარასკევის მთავრობის სხდომის დღის წესრიგის ერთ-ერთ განსახილველი თემა მუნიციპალიტეტების მიერ ქონების განკარგვის წესი იყო, ანუ კიდევ ერთი დამატებითი ფუნქცია, რომელიც იუსტიციის სამინისტროს, ეკონომიკის სამინისტროს და, შესაძლოა, სხვა რომელიმე სამთავრობო უწყების კომპეტენციის სფეროც აღმოჩნდეს. აი, მაშინ კი მოუწევთ მერებსა და გამგებლებს დამატებით ოფლის ღვრა... თუმცა, თანამდებობა და მაღალი ხელფასები, თავის პრემიებ-დანამატებიანად და სხვა სიკეთეებიანად (როგორც წესი ყოველდღე რესტორანში ქეიფი მუნიციპალიტეტის მესვეურთა დღის წესრიგია), ამად უდავოდ ღირს!!!

G3-ის პროექტი რამდენიმე კვირაში სრულდება. მაგრამ უკვე იციან, რომ მას რომელიმე სხვა საერთაშორისო მდიდარი ორგანიზაცია ჩაანაცვლებს. ორდღიანი ტრენინგი, ალბათ, ბევრს ვერაფერს შეასწავლის ჩვენს მერებს და გამგებლებს, მაგრამ იმას მაინც გაიგებენ, რა არ იციან და, წესით, რა უნდა იცოდნენ...

როგორც პროექტის ავტორები იფიცებიან, 2015-17 წლებში შეძლებენ კომპეტენციის არმქონე საჯარო მოხელეების პრობლემა აღმოფხვრან. კი, ბატონო, მაგრამ ამ ხალხს 2017-ის მერე რომ გადავირჩევთ და ისევ არაკომპეტენტურებს ავირჩევთ, ამას რაღა ეშველება?! მომდევნო წლებიც ასე ტრენინგ-პროგრამებით უნდა გავქაჩოთ? და აქედან ამომრჩეველს რა? არაკომპეტენტური თანამდებობის პირები არჩევნებიდან – არჩევნებამდე „მზითვად“?!

თეა მოსია

◎ ალიანჩალიანი

პირადობის მოწმობებს ისევ შეღავათიან ფასში ავიღებთ

1 დეკემბრიდან 1 იანვრამდე პირადობის ახალი მოწმობა, იუსტიციის მინისტრის ინიციატივით გამოცხადებული აქციის ფარგლებში, 35 ლარის ნაცვლად 15 ლარი ეღირება.

აქციის პირობების თანახმად, პირადობის ახალი მოწმობის მიღების მსურველები პირადობის დამადასტურებელ ახალ დოკუმენტს 15 ლარად სტანდარტულად 10 დღის ვადაში მიიღებენ და გათავისუფლდებიან ფოტოსურათის გადაღების 3 ლარის გადასახადისგანაც. დაჩქარებული მომსახურების მიღების მსურველებს კი 15 ლართან ერთად მხოლოდ დაჩქარების ღირებულების გადახდა მოუწევთ. აქციით სარგებლობის საშუალება ექნებათ ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის როგორც სრულწლოვან ისე არასრულწლოვან მოქალაქეებს. აქციაში ჩართვა შეუძლიათ იმ მოქალაქეებსაც, რომლებიც მისამართის გარეშე არიან რეგისტრირებული. პირადობის ახალი მოწმობის მისაღებად მოქალაქეებმა იუსტიციის სახლებს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ფილიალებს ან საზოგადოებრივ ცენტრებს უნდა მიმართონ.

საქართველოში ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი მცირდება

ამის **შესახებ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ განაცხადა.**

დავით სერგეენკო UNISEF-სა და მსოფლიო ბანკის მიერ ორგანიზებულ კონფერენციას „საერთო კეთილდღეობის სოციალური დაცვის ძლიერი სისტემის მეშვეობით მხარდაჭერა“ დაესწრო. კონფერენციაზე სიღარიბის შემცირების მხრივ არსებული პრობლემები და შესაბამისი სტრატეგიები განიხილეს.

„ძალიან მჭიდრო თანამშრომლობა გვაქვს UNISEF- თან, ჩვენ ვთანამშრომლობთ მათ შორის ბავშვთა სიღარიბის დაძლევის მიმართულებით. ეს პრობლემა, ბავშვთა სიღარიბე პრობლემური საკითხია მრავალი ქვეყნისთვის.

ბოლო კვლევებით, ევროპის ქვეყნებში გაზრდილია ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი. საქართველოში კი დინამიკა შეიცვალა და ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებელი შემცირდა. უკიდურეს სიღარიბეში მყოფ ბავშვთა ჯგუფებთან მიმართებაში კი სერიოზული სამუშაოების ჩატარება მოგვიწევს“, – განაცხადა მინისტრმა.

ფოთში მალთაყვის უბნის სანაპირო ზოლი მოწესრიგდება

ფოთის **მერი ირაკლი კაკულია საქართველოს არქიტექტორთა კავშირის წარმომადგენლებს შეხვდა და თემის დეტალებზე ესაუბრა.**

როგორც გაირკვა, საპროექტო სამუშაოებისათვის 120 ათასი ლარი დაიხარჯება. ფოთის მერის ინფორმაციით, თანხა ცენტრალურ ბიუჯეტს ეკუთვნის. რაც შეეხება სანაპირო ზოლის მოწესრიგებას და ამისათვის საჭირო თანხებს, ფოთის მუნიციპალიტეტი საკითხთან დაკავშირებით ინფრასტრუქტურის სამინისტროსთან მოლაპარაკებებს გამართავს. შეხვედრას საკრებულოს თავმჯდომარე ალექსანდრე თოფურია და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

ქუთაისში ბიბლიოთეკის თანამშრომლები გაიფიცნენ

როგორც **სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორმა ნარგიზა ჩოგოვაძემ განაცხადა, გაფიცულია 80-მდე თანამშრომელი. ისინი ერთადერთ მოთხოვნას აყენებენ და ხელფასების გაზრდას მოითხოვენ. ნარგიზა ჩოგოვაძის ინფორმაციით, ბიბლიოთეკა ქუთაისის თვითმმართველობის ბიუჯეტიდან ფინანსდება. შესაბამისად, გაფიცულები მოთხოვნის დაკმაყოფილებას ადგილობრივ თვითმმართველობას სთხოვენ. მისივე ცნობით, ბიბლიოთეკის თანამშრომლების ხელფასი მაქსიმუმ 200-350 ლარია. ისინი ანაზღაურების გაორმაგებას მოითხოვენ.**

დევნილებმა ავტომაგისტრალის მშენებლობა შეაჩერეს

რუსთავი-თბილისის **ავტომაგისტრალის სამშენებლო სამუშაოები ქვემო ფონიჭალის მონაკვეთზე საპროტესტო აქციის გამო შეჩერდა.**

საპროტესტო აქცია აღნიშნულ ტერიტორიაზე მცხოვრებმა 60-მდე აფხაზეთიდან დევნილმა ოჯახმა მოაწყო.

აქციის მონაწილეთა განცხადებით, მას შემდეგ, რაც რუსთავი-თბილისის ავტობანის მშენებლობა დაიწყო, მშენებლებმა დასახლებასთან გამავალი არხის სიღრმე შეამცირეს, არხი წყლით ივსება და წვიმის დროს სახლები ეტბორებათ, ამასთან ერთად, მთლიანად მოშლილია ცენტრიდან დასახლებამდე მიმავალი გზა.

აქციის მონაწილეებს სამშენებლო კომპანიის წარმომადგენლები შეხვდნენ. მათი განცხადებით, ეს პრობლემა დროებითია და უახლოეს ხანში მოხდება არხის სიღრმის გაზრდა, გაწმენდა, ასევე გზის კეთილმოწყობა. რაც შეეხება საცხოვრებელი სახლების დატბორვას, კომპანიის ინფორმაციით, ეს ძლიერი წვიმის გამო მოხდა.

მდინარე ხრამზე ბრაკონიერები დააკავეს

მდინარე **ხრამზე ელექტროშოკური აპარატის გამოყენებით 14 კილოგრამამდე ხრამულას ჯიშის თევზის უკანონო მოპოვების ფაქტი გამოვლინდა. მარნეულის მუნიციპალიტეტში, მდინარე ხრამზე თევზის უკანონო მოპოვების ფაქტი გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის, ქვემო ქართლის სწრაფი რეაგირების სამსახურის თანამშრომლებმა გამოავლინეს.**

სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარეობს გარემოსთვის მიყენებული ზიანის დადგენა. სამართალდამრღვევებს უკანონო თევზჭერის იარაღები, ელექტროშოკური აპარატი და წყლის სატრანსპორტო საშუალება ჩამოერთვათ. მასალები შემდგომი რეაგირებისთვის რაიონულ სასამართლოში გადაიგზავნება.

ინტერპრესი

◎ ტურიზმი

შემცირდა თუ გაიზარდა?

სავიზო **რეჟიმის გამკაცრებისა და მთავრობის პოლიტიკის გამო საქართველოში ტურისტების მოზღვავება აღარ შეინიშნება, ის კი არა, ტუროპერატორები ვიზიტორთა ნაკადის კლებაზე ალაპარაკდნენ. ტურიზმის ადმინისტრაცია კი საპირისპირო ტენდენციაზე საუბრობს. ბოლოს და ბოლოს, შემცირდა თუ გაიზარდა საქართველოში უცხოელ ტურისტთა რაოდენობა, გაუგებარია.**

კომპანია „გოუ ტურში“ ამტკიცებენ, რომ მოთხოვნა განსაკუთრებით საქმიან ტურებზე შემცირდა, რომელიც სემინარებისა და ტრენინგების ჩატარებას ითვალისწინებს. ამის მიზეზი კი, მათი აზრით, ინფრასტრუქტურის არარსებობაა.

„ამბობენ, რომ რეგიონებში საკონფერენციო დარბაზები არ არის, თბილისამდე ჩამოსაფრენი ბილეთებიც საკმაოდ ძვირია, ნორმალური მომსახურების მქონე სასტუმროებსაც ისეთი ფასები აქვს... ყაზახეთიდან ბევრად უფრო იაფად დუბაიში წავლენ, ვიდრე საქართველოში. სწორედ ამის გამო საქართველოს პროგრამიდან ძალიან ბევრი ჯგუფი აგდებს“, — აღნიშნავენ კომპანიაში.

ტურისტულ სააგენტო „გუდ თრეველში“ კი ამბობენ, რომ შარშანდელთან შედარებით, ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტების რაოდენობა წელს, დაახლოებით, 40%-ით შემცირდა. კომპანიის შიდა ტურების მენეჯერი ირაკლი ჩაქუჩაძე ტურისტების შემცირებას მთავრობის ნაბიჯებს უკავშირებს და ამბობს, რომ მიდგომა ტურისტებთან და, საერთოდ, ტურისტულ ბიზნესთან მიმართებით, სასწრაფოდ შესაცვლელია.

საქართველოს ტურიზმის ადმინისტრაცია კი სულ სხვაგვარ მონაცემებს აქვეყნებს. „კომერსანტთან“ საუბრისას ადმინისტრაციის წამომადგენლები აცხადებენ, რომ ბოლო წლებში ქვეყანაში შემომსვლელი ტურისტების რაოდენობა გაიზარდა.

მათი ინფორმაციით, 2013 წლის ათი თვის მონაცემებით, საქართველოში ჯამში 4 მილიონ 581 ათას 537 ადამიანი შემოვიდა, რაზეც 2014 წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემები 2%-ით, ანუ 75 ათას 988-ით მეტია და 4 მილიონ 657 ათას 525 ტურისტს შეადგენს. სტატისტიკის თანახმად, ევროპიდან შემომსვლელთა რიცხვი მიმდინარე წელს 10%-ით გაიზარდა, 7%-ით არის გაზრდილი ამერიკის შეერთებული შტატებიდან საქართველოში შემომსვლელთა რაოდენობა.

თუმცა, 36%-ით არის შემცირებული აღმოსავლეთ აზიიდან შემომსვლელი ტურისტების რაოდენობა. 2013 წელს ქვეყანაში 109 ათას 042 ადამიანი შემოვიდა, 2014 წლის ანალოგიურ პერიოდში კი 69 ათას 379. ასევე 36%-თაა შემცირებული შუა აღმოსავლეთიდან შემომსვლელთა რაოდენობა. რაც შეეხება აფრიკის ქვეყნებს, საქართველოში აფრიკიდან შემოსული ტურისტების რაოდენობა, 2014 წლის ათი თვის განმავლობაში 15%-ით შემცირდა და 3 ათას 763 პირი შეადგინა.

„ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ტურიზმს ზრდის პოტენციალი აქვს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, იმისთვის, რომ ტურისტების რაოდენობა იზრდებოდეს. ტურიზმი რამდენიმე ფაქტორის გამო არის ძალიან მნიშვნელოვანი და სწორედ ამ მნიშვნელოვნების გაანალიზება და ამის საჯაროდ გამოტანა იქნება ჩემი ერთ—ერთი მთავარი ამოცანა.

ტურიზმი არის ძალიან კარგი ინსტრუმენტი დასაქმებისათვის, ქვეყნის პოპულარიზაციისათვის, ინვესტიციებისათვის. ტურიზმს აქვს ერთი თვისება — ის შეიძლება სწრაფად განვითარდეს და მის განვითარებასთან ერთად, განვითარდეს ახლომდებარე სექტორები და მიმართულებებიც. მაგალითად, ტურიზმის ზრდასთან ერთად ვითარდება სასტუმროები, რესტორნები და ასე შემდეგ“, — აცხადებს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ახალი ხელმძღვანელი გიორგი ჩოგოვაძე.

ბექა დანელია

◎ „ენა შემკული და კურთხეული“

რატომ არის ენათმეცნიერი ლევან ღვინჯილია გაბრაზებული?

„ივერიონის“ პრესკლუბში ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, ენის სახელმწიფო პალატის ყოფილმა თავმჯდომარემ **ლევან ღვინჯილიამ** ქართული ენის დაკნინებასა და სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების გაჭიანურებაზე ისაუბრა.

— „საქართველოში ქართულ ენას სახელმწიფო ენის სტატუსი მემატიანეების ინფორმაციით ფარნავაზ მეფის ეპოქიდან აქვს. ქართული ენა ზენიტში იყო დავითისა და თამარის მეფობის დროს და ამის დასამტკიცებლად „ვეფხისტყაოსანი“ კმარა. შემდგომ პერიოდში, ჯერ კიდევ 30-იანი წლებიდან მოყოლებული საქართველოში არსებობდა სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი სახელმწიფო კომისია. ამ პერიოდშივე მოქმედებდა სახელმწიფო ენის სახელმწიფო კომისია, რომელსაც სათავეში ედგა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე. 90-იან წლებში ეს კომისია იყო რეორგანიზებული, გარკვეული თვალსაზრისით სახელწოდებასაც შეეხო ეს ცვლილება და მას დაერქვა საქართველოს სახელმწიფო ენის მუდმივი სახელმწიფო კომისია. პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დროს ეს კომისია იყო გადმოტანილი პრეზიდენტის დაქვემდებარებაში და უკვე დამოუკიდებელ საქართველოში მას სათავეში ჩაუდგა ქვეყნის პირველი პირი. მომდევნო პრეზიდენტის, შევარდნაძის დროსაც ეს კომისია პრეზიდენტის დაქვემდებარებაში იყო და ამ დროს ეს კომისია სერიოზულად ამოქმედდა. 1995 წელს გამოქვეყნდა ენის სახელმწიფო პალატის კონცეფცია. 1996 წელს დედაქალაქის მერიაში შეიქმნა სახელმწიფო ენის მოქმედებისა და ქალაქგაფორმების საზედამხედველო სამსახური, ხოლო 1997 წლის 24 იანვარს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით შეიქმნა ენის სახელმწიფო პალატა, რომელმაც იარსება 2004 წლის დეკემბრამდე.

2002 წელს კანონპროექტი სახელმწიფო ენის შესახებ წარედგინა პარლამენტს, გაიმართა პლენარული სხდომა. მე გახლდით პრეზიდენტის მიერ დანიშნული მომხსენებელი. დამთავრდა მოხსენება, დაიწყო შეკითხვებზე პასუხების გაცემა და სხდომა დამთავრდა იმით, რომ კანონპროექტის განხილვა გადაიდო. მიზეზად კი დასახელდა ის, რომ თურმე ღვინჯილიამ და ბურჯანაძემ პირი შეკრეს შევარდნაძის წინააღმდეგ და კანონპროექტიდან ამოიღეს ერთი მნიშვნელოვანი ფრაზა — „საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებულია, ფლობდეს სახელმწიფო ენას“, არადა, ეს გახლავთ ერთადერთი ფრაზა ამ კანონპროექტში, რომელიც ჩემს მიერ არის დაწერილი“.

ლევან ღვინჯილიას განცხადებით, სააკაშვილის ხელისუფლების დროს ბევრი უბედურება დატრიალდა, მაგრამ არც ამჟამინდელი ხელისუფლება ცდილობს შეცდომების გამოსწორებას.

— „ცოტა გაბრაზებული ვარ ამჟამინდელ ხელისუფლებაზე. სააკაშვილმა გააუქმა არა მარტო ენის სახელმწიფო პალატა, არამედ მუდმივმოქმედი კომისიაც, რომლის თავმჯდომარეც თვითონ უნდა ყოფილიყო. გაუქმდა პარლამენტის სახელმწიფო ენის კომიტეტი. როცა ახალი ხელისუფლება აპირებდა მოსვლას, შეიქმნა მოძრაობა „ქართული ოცნების“ თემატური ჯგუფი, რომლის ერთ-ერთი ქვეჯგუფის ხელმძღვანელი მე ვიყავი. ამ თემატურ ჯგუფს ერქვა — „ენა, კულტურა, განათლება, მეცნიერება“. გაგვიჩნდა იმედი, რომ სახელმწიფო ენის შესახებ კანონს ახალი ხელისუფლება მიიღებდა. იმედი უფრო გაძლიერდა მაშინ, როცა ბიძინა ივანიშვილმა პრემიერად დანიშვნის დროს აღნიშნა, რომ აუცილებლად იქნებოდა მიღებული ეს კანონი, თუმცა ისე წავიდა ის ამ თანამდებობიდან, რომ ძვრა არ ყოფილა, შემდეგ ახალმა პრემიერმაც იგივე ტექსტი გაიმეორა, ოდნავ სახეშეცვლილად, მაგრამ ჯერჯერობით საკითხი ისევ ღიად რჩება.

ლევან ღვინჯილიამ კოალიციის წევრებს მიმართა:

— „ვინ შეგიშალათ ხელი, განგეხორციელებინათ ის, რაც პროგრამაში იყო ჩადებული? ვინ შეგიშალათ ხელი, რომ მომავალი წლის ბიუჯეტში გაგეთვალისწინებინათ ამისთვის თანხები? თუ სამსახურს ვერ შექმნი, ნუ შექმნი სამსახურს, მაგრამ სამსახურის გარეშე ვინ გიშლის, კანონპროექტი მიიღო და კანონად აქციო? რომც არ ჰქონდეს კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფო ენის შესახებ კანონის მიღების თაობაზე, მან ეს მაინც უნდა გააკეთოს, იმიტომ რომ 23 წლის ილია ჭავჭავაძემ, როცა სამშობლოში ბრუნდებოდა, გვითხრა-სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა წინაპართაგან ჩვენ, ქართველებს, და თუ ამათაც არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობასო. აი, რა კაცები ხართ, თქვენ, რა პასუხს აძლევთ შთამომავლობას! ღვთაებრივ საუნჯეს რატომ აყენებთ რიგითი სამეურნეო საქმიანობის გვერდით! ვაი ამისთანა საქართველოს და ვაი იმ კაცებს, რომლებსაც სახელმწიფო კაცები ჰქვიათ და არ ესმით ის, რაც დიდმა ილიამ დაგვიბარა. სხვისა არ ვიცი და, მე მშობელ მამასაც არ ვაპატიებდი ჩვენი ენის მიწასთან გასწორებას“.

ბეშქენ ქართველიშვილი

◎ კაკალ გულში

წერილოვანი თქმაზები

● **ძალადობას ვაპირებდი, მარა გრიგოლიას გადაცემაში მობაასე ცნობადი სახეების და ვარსკვლავების შესრულებული კლიპის მერე გადავიფიქრე!**

● **გასაგებია, რომ დუბინკებით აღარ აწამებთ, ქუჩაში აღარ სვრეტთ, პატიმრებს ყურებიდან სისხლს აღარ ადენთ, ბიზნესმენებს აღარ აყაჩაღებთ (მგონი), მოკლედ ნაციონალებივით შუბლძარღვგაწყვეტილები არ ხართ, მაგრამ ამ ყველაფერს მარილი რომ მოაყაროთ და ცოტა ხალხზეც იფიქროთ არ (მო)გინდათ? რო მიგვაჩანჩალებთ წლიდან წლამდე პენსიაში გასული გონდოლიერივით (ნოსტალგიის გამო უფასოდ რო ასეირნებს ხალხს, „პასაჟირები“ სულ რო არ აინტერესებს, უბრალოდ თავის ჭიას ახარებს). როის უნდა მოგვხედოთ, როის? ვაი დუ დეი დუ ით, ვაიი?(ჭკადუას სმაილი)**

● **რა ლამაზი დღეااა...**

რა ნათელი დღეااა...

იმიტომ, რომ, —

პარლამენტარი მეჭიაური დავინახე ტელევიზორში!

● **ბატონო პრეზიდენტო,**

მითხარი ვინ „მიესალმა“ შენს გადაწყვეტილებას და გეტყვი ვინ ხარ შენ!

● **აუ რა მაგარია ზამთარში, ავლაბრის რეზიდენციაში ბუხრის პირას რო ზიხარ და მარტო იმაზე ფიქრობ, ვეტო დაადო თუ არ დაადო. და თან ქსოვ.**

● **„ჩვენ ამ კანონებს ვადებთ ვეტოსო“.**

რამდენიმე პრეზიდენტი გვყავს?

● **აქვს რ2-ს რეიტინგი, აქვს იმიტომ, რომ 70% ზიხართ და უყურებთ.**

● **მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა კონსტანტინე ყუბანეიშვილმა და მამუკა ხერხეულიძემ გაიარეს ა. წერეთლისა და დ. აღმაშენებლის გამზირები და შ. რუსთაველის პროსპექტით ავიდნენ გ. ტაბიძის ქუჩაზე...**

● **უკანასკნელი 25 წლის მანძილზე, საქართველომ იმდენი ომი გადაიტანა, რომ ჩემი აზრით, პოლიტიკოსობაზე პრეტენზიის მორალური უფლება არა აქვს ადამიანს, რომელსაც რაიმე ფორმით, მონაწილეობა არ მიუღია რომელიმე მათგანში მაინც... რა თქმა უნდა, მხოლოდ იარაღის სროლას არ ვგულისხმობ...**

● **ბატონო პრეზიდენტო, სასამართლოს კი არა, პირდაპირ ძმებ კუბლაშვილებს გადავცეთ მოსმენების გასაღები უფრო არ ჯობს?**

● **ორი დღეა ვკითხულობ ამა თუ იმ ჟურნალისტის ან პოლიტიკოსის საქციელით აღშფოთებული ადამიანების მრისხანე სტატუსებს. ისეთი წიოკია ატეხილი, თითქოს რამე ახალი აღმოვაჩინეთ და ეს ჟურნალისტები თუ პოლიტიკოსები ადრეც ასეთები არ იყვნენ! იყვნენ, რა თქმა უნდა! და ზუსტად ანალოგიურად იქცეოდნენ, ოღონდ მაშინ მათ ასე ამაზრზენად ექცეოდნენ, ისინი ვინც, ჩვენც არ მოგვწონდა და ამიტომ ტაშს ვუკრავდით! აი, სად არის პრობლემის თავი — ჩვენში ასე მყარად გამეფებულ ორმაგ სტანდარტებში! და ეს უკვე აღარ არის ორმაგი სტანდარტები — ეს უკვე სიბრიყვე და უზნეობაა!**

ადამიანური თვისებების (ან გარეგნობის — თუ ეს საერთოდ საჭიროა) შეფასება არ უნდა იცვლებოდეს იმის მიხედვით, თუ რა პოზიცია აქვს მას: ჭკვიანი რჩება ჭკვიანად, წესიერი წესიერად, პროფესიონალი პროფესიონალად, ნაძირალა, ჩვენს გვერდითაც რომ იყოს, მაინც ნაძირალაა! სანამ ამის გაგება გვიჭირს, არასოდეს დაფასდება კარგი და მათ ადგილს არამზადები დაიკავებენ! ასე იყო ადრეც, ასეა დღესაც და ასე გაგრძელდება მანამდე, სანამ ჩვენი ცუდიც კარგია და სხვისი კარგი — ცუდი!

● **ინგა გრიგოლიაგადატანილო საქართველო, დილა მშვიდობისა...**

● **ახალი გურული წყევლა: ვაი თქვენ დეგედოთ ვეტო, დოუძლევლათ!**

ამოკრიბა
გია გაბრიჭიძემ

◎ ᲒᲐᲣᲛᲐᲯᲚᲠᲝᲑᲐ

ᲐᲘ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ „ᲑᲣᲚᲔᲛᲘᲐ“

ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲒᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘ

ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) გუბერნატორთა და რწმუნებულთა სახელფასო დანამატების, პრემიებისა და შეძენილი ავტომანქანების ღირებულების შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა. საუბარია 2013 წელს გუბერნატორთა ადმინისტრაციების მიერ გაწეულ ხარჯზე. მონაცემების მიხედვით, ყველაზე მაღალი პრემია გაიცა იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაში, ყველაზე მაღალი სახელფასო დანამატი კი კახეთში სახელმწიფო რწმუნებულს აქვს მიღებული.

როგორც IDFI-ს ანალიტიკოსი სალომე თარხნიშვილი ამბობს, გამოიკვეთა შემდეგი სახის ტენდენცია:

„პრემიების მიხედვით, პირველ ადგილზე იმერეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაა, შემდეგ — სამეგრელო-ზემო სვანეთის და მას მოჰყვება ქვემო ქართლის, ხოლო სახელფასო დანამატების კუთხით, ეს არის კახეთი, სადაც იმჟამინდელ გუბერნატორ ზურაბ ჭიაბერაშვილზე გაიცა ყველაზე დიდი რაოდენობის სახელფასო დანამატი: 8 თვე იგი იღებდა 2 950 ლარს, ხოლო ერთი თვის განმავლობაში აღებული აქვს 2 600 ლარი“.

ყველაზე ცუდი ამ ყველაფერში მაინც ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს სათანადო რეგულაციები დღემდე და, სამწუხაროდ, საჯარო სექტორში, მთლიანად შრომის ანაზღაურება არის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი...

რაც შეეხება ავტოპარკს, სალომე თარხნიშვილის სიტყვებით, კახეთის გუბერნატორის ადმინისტრაციაზე ირიცხება ყველაზე ძვირად ღირებული მანქანები.

IDFI-ს მონაცემებით, **ქვემო ქართლის გუბერნატორს მამუკა ჩიქოვანს — 10 500 ლარი, იმერეთის გუბერნატორს ვახტანგ ბალავაძეს კი 10 000 ლარი ჩაერიცხათ პრემიის სახით. წარმომადგენლობით ხარჯებზე ყველაზე დიდი თანხა დახარჯულია შიდა ქართლის გუბერნატორის ადმინისტრაციის მიერ - 46 341 ლარი. რაც შეეხება სხვა რეგიონების რწმუნებულ/გუბერნატორებს, სამეგრელო-ზემო სვანეთის ადმინისტრაციამ 2013 წელს გასცა 103 945 ლარის ოდენობის პრემია. ადმინისტრაციამ ორჯერ განაახლა ავტოპარკი. 11 ათას აშშ დოლარად ღირებული „ტოიტა ქამრის“ ნაცვლად შეიძინა 2011 წელს გამოშვებული, 31 900 ლარად შეფასებული ამავე მარკის ავტომობილი, ხოლო 20 500 დოლარად შეფასებული „ტოიტა ლენდკრუიზერ პრადოს“ ნაცვლად შეიძინეს 42 100 აშშ დოლარად შეფასებული ამავე მარკის ავტომობილი.**

შიდა ქართულის გებერნატორის ადმინისტრაციამ 2013 წელს 61 ათას 884 ლარის პრემია გასცა. აქედან გუბერნატორსა და მის მოადგილეებზე — 42 180 ლარი, ადმინისტრაციის სხვა თანამშრომლებს კი, ჯამში, 19 704 ლარი აქვთ მიღებული.

დაახლოებით მსგავსი სურათია სხვა გუბერნატორთა ადმინისტრაციებშიც.

სამეგრელო-ზემო სვანეთის ყოფილი რწმუნებული თენგიზ გუნავა საზოგადოებრივ მაუწყებელთან საუბარში არ ეთანხმება მონაცემებს. მისი თქმით, სულ ორჯერ გასცა პრემია თანაშრომლებზე და ისიც ხელფასის ნახევრის ოდენობით. ამბობს, უმჯობესია, ამჟამინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა, მიმდინარე წლის 1 სექტემბერს დედაქალაქის მერმა გამოსცა ბრძანება მერიის სისტემაში სახელფასო დანამატების წესის შემოტანის თაობაზე, თუმცა, სულხან სალაძის თქმით, რაიმე სახის კონკურენციას ან შეჯიბრებითობას ეს დანამატები არ ითვალისწინებს, ვინაიდან ერთსა და იმავე ოდენობის თანხას მიიღებს ყველა, ვინც კარგად მუშაობს და ვინც სხვაზე უკეთესად არ მუშაობს. სულხან სალაძე იხსენებს ასევე მთავრობის დადგენილებას პრემიების გაცემის წესის რეგულაციის თაობაზე, თუმცა, მისი თქმით, პრემიების გაცემის წესი მოწესრიგდა პრაქტიკის მიხედვით და არა ისე, რომ ის რეალურ კონკურენტულ და შეჯიბრებითობის პრინციპს ემყარებოდეს:

„არ ხდება თანამშრომელთა საქმიანობის შეფასება და შეუძლებელია, რომ კვარტალში ერთხელ ყველა თანამშრომელს ერთდროულად მიეცეს პრემია. ეს სისტემა, რაც მთავრობას აქვს დადგენილი, პრემიის გაცემის წესი, საერთოდ არ ეხება დანამატების თემას, ანუ დანამატების თემა არის საერთოდ ჰაერში და ადმინისტრაციული ორგანოები, საკუთარი საბიუჯეტო ხარჯვითი ნაწილის მიხედვით, როცა მათ აქვთ გარკვეული თანხა გამოყოფილი შრომის ანაზღაურებაზე, ამ თანხიდან გადააქვთ თანხა დანამატებში, ნაწილი პრემიაში და დანარჩენი სხვადასხვა თანამდებობრივ სარგოში. და მე არ გამიკვირდება, თუკი ვნახავთ, რომ, 2013 წლისგან განსხვავებით, 2014 წელში უფრო მაღალი იყო ეს თანხები. ყველაზე ცუდი ამ ყველაფერში მაინც ის არის, რომ ჩვენ არ გვაქვს სათანადო რეგულაციები დღემდე და, სამწუხაროდ, საჯარო სექტორში, მთლიანად, შრომის ანაზღაურება არის ერთ-ერთი პრობლემური საკითხი“.

ᲜᲘᲜᲝ ᲮᲐᲠᲐᲫᲔ,
ᲠᲐᲓᲘᲝ „ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ“

◎ ᲡᲐᲑᲐᲜᲙᲝ ᲡᲤᲔᲠᲝ

ᲧᲕᲔᲚᲐᲛ ᲗᲐᲕᲘᲡᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲙᲔᲗᲝᲡ, ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲘᲡᲐ ᲡᲯᲝᲑᲡ

ᲬᲚᲔᲑᲘᲡ მანძილზე საქართველოში სხვებზე გაცილებით სწრაფად და წარმატებით საბანკო სფერო ვითარდებოდა, მაგრამ ეროვნულ ეკონომიკას, ქვეყანაში მთლიანი შიდა პროდუქტის წარმოებას ეს არაფერში დასტყობია, რადგან მიღწევები არასაწარმოო სფეროშია. ცხადია, თავისთავად ფულიც ისეთივე საქონელია, როგორც სხვა, მაგრამ მას ვერც ჩაიცვამ და ვერც დაიხურავ, ამდენად, კომერციულ ბანკებს რაგინდ დიდი წარმატებებიც უნდა ჰქონდეთ, თუ მათი ფული რეალური სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო თუ საყოფაცხოვრებო პროდუქციის წარმოებას არ მოხმარდება, მოსახლეობისთვის მისი ფასი ნულის ტოლია. თუ რატომ ვამახვილებთ ყურადღებას ამ გარემოებაზე, ამის თაობაზე ქვემოთ მოგახსენებთ.

ჩვენში კომერციული ბანკების კეთილდღეობის მიზეზთა შორის, ამ ჯერზე ორს გვინდა შევეხოთ: პირველია კრედიტებზე მაღალი საპროცენტო განაკვეთები, მეორე — მათ მიერ არაპროფილური აქტივების ფლობა.

ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტის სპეციალისტთა ანგარიშში, როგორიცაა მსოფლიო ბანკი, გარკვევითაა ნათქვამი, რომ **კავკასიისა და შუა აზიის რეგიონში კომერციულ ბანკებში ყველაზე დიდი საპროცენტო განაკვეთები ყველა სახის კრედიტებზე, ყველაზე მაღალია საქართველოში.** ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის **ირკლი ქადაგიძის** განცხადება იმის თაობაზე, რომ **საბანკო სექტორში დღესდღეობით არსებული საპროცენტო განაკვეთები ეკონომიკური განვითარების იმ სტადიას შეესაბამება, რომელშიც ამჟამად საქართველო იმყოფება და, ამდენად, ასეთი ვითარება სავსებით კანონზომიერია.** მისივე თქმით, მართალია, ბოლო ათი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთების კლების ტენდენცია კი აღინიშნება, მაგრამ ევროკავშირის ქვეყნების დონეზე მაინც არ არის. ამის მიზეზი კი ისაა, რომ დასავლეთევროპულ დონეზე არც... ჩვენი ეროვნული ეკონომიკაა (?!). ექსპერტების აზრით, არსებული მდგომარეობა რომ შეიცვალოს, მათ შორის დამაქცეველი იპოთეკური სესხების განაკვეთების, საჯარიმო სანციების დონეც და ვალების რესტრუქტურიზაციის პროცენტებიც შემცირდეს, მაშინ საჭიროა მთლიანად საბანკო სისტემის, მათ შორის მისი მონეტარული პოლიტიკის მიმართ დამოკიდებულების შეცვლა.

◎ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲗᲔᲛᲐᲨᲘ

კომერციული ბანკების არაპროფილური აქტივებია დაუბრუნებელი სესხების ასანაზღაურებლად დასაკუთრებული უძრავი და მოძრავი ქონება. ბანკის ინტერესია ამ ქონების რეალიზება და გაწეული ხარჯის ანაზღაურება.

რაც შეეხება კომბანკების ახლანდელი ფინანსური ძლევამოსილების კიდევ ერთ წყაროს, კერძოდ, არაპროფილურ საქმიანობაში მონაწილეობას, ცოტა ხნის წინათ, ეროვნული ბანკის გადაწყვეტილებით, ამ მხრივ მათ შეზღუდვა დაუწესდათ. ამის თაობაზე ადრეც არაერთხელ გვქონია ლაპარაკი: კერძოდ, **როცა ამა თუ იმ სახეობის სამეწარმეო საქმიანობაში კომერციული ბანკიც მონაწილეობს საკუთარი შვილეული კომპანიის მეშვეობით, აქ აუცილებლად ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშვება, რადგან იმავე ბანკის კონკურენტს შეღავათიან სესხს არანაირად არ მისცემს.** ეკონომიკის ერთ-ერთი დარგი, რომლის მიმართ კომერციული ბანკები ინტერესს იჩენენ, ეს ასევე წარმატებული სამოქალაქო სამშენებლო სფეროა, ამიტომაც მთავარი აქცენტი სწორედ მათ დეველოპერულ კომპანიებთან ურთიერთობაზე იყო გაკეთებული.

— მიღებული გადაწყვეტილება უზრუნველყოფს იმას, რომ ინტერესთა კონფლიქტის ყველანაირი რისკი კომერციულ ბანკებსა და დეველოპერულ კომპანიებს შორის ამოიწუროს და, შესაბამისად, მიღებული იქნება საზედამხედველო დირექტივები ბაზრის ამა თუ იმ მოთამაშესთან დაკავშირებით, — განაცხადა, კერძოდ, ეროვნული ბანკის პრეზიდენტმა ირაკლი ქადაგიძემ.

მან ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ბანკების არაპროფილური ბიზნესის სექტორი „მნიშვნელოვანი არ არის“, რადგან მთლიანად ერთ პროცენტს არ აღემატება, თუმცა კი ისიც აღიარა, რომ ზოგიერთ სფეროში ეს მაინც საკმაოდ მნიშვნელოვანი წილია.

როგორც აღვნიშნეთ, ოქტომბერში, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კომერციულ ბანკებს არაპროფილური სამეწარმეო საქმიანობა აუკრძალა. კომბანკებმა ეროვნულ ბანკს არასაფინანსო სფეროდან გამოსვლის დეტალური სტრატეგია ნოემბრის ბოლომდე უნდა წარუდგინათ, ხოლო მთლიანად არაპროფილურ აქტივებზე უარის სათქმელად ვადა მომავალი წლის 31 დეკემბრამდე აქვთ.

აღსანიშნავია, რომ ბანკების მიერ არაპროფილური აქტივების ფლობისადმი მიდგომა სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია, ამდენად საკითხისადმი რაიმე ერთიანი, საერთაშორისო აღიარებული ნორმა, ფაქტობრივად, არ არსებობს.

ბანკების არაპროფილურ საქმიანობაში ჩართვა საშუალოვადიან პერსპექტივაში ეროვნული ბანკის მიერ სექტორისთვის რისკის შემცველად ფასდება. მსგავსი პრაქტიკა ინვესტორთა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხეს აჩენს. **საქართველოს ეროვნული ბანკი მიესალმება კომბანკების აქციონერთა მხრიდან არასაბანკო სფეროში ინვესტიციების განხორციელების პრაქტიკას, თუ აღნიშნული არ ხორციელდება უშუალოდ ბანკების მიერ და, შესაბამისად, მისთვის დამატებით რისკს არ წარმოშობს,** — ნათქვამია, კერძოდ, საკითხთან დაკავშირებით ეროვნული ბანკის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ საქართველოში მოქმედი 21 კომერციული ბანკიდან არაპროფილური აქტივების, ასე ვთქვათ, „ბობოლა“ მფლობელი ორია — საქართველოს ბანკი და თიბისი ბანკი. პირველ მათგანს 61 შვილეული კომპანია ეკუთვნის, მეორეს — ათი. ეროვნული ბანკის მონაცემებით, საქართველოს ბანკის სრული კუთვნილებაა კომპანია „რეგიონ კაუკაზუს აუტოპაუზი“, პროფესიული კალათბურთელთა გუნდი „დინამო“, სადაზღვევო კომპანია „ალდაგი ბისიაი“, მასვე ეკუთვნის შპს „თელიანი ველის“ აქციების 51,23 პროცენტი, შპს „ჩემი კლინიკა“ (აქციების 51 პროცენტი), შპს „ინტერტური“ (99,99 პროცენტი), ასევე სხვადასხვა წილობრივი მონაწილეობა აქვს ქვეყნის სხვადასხვა მხარეში 11 სამედიცინო კლინიკაში. რაც შეეხება თიბისი ბანკს, მისი სრული, ასპროცენტიანი საკუთრებაა საბროკერო კომპანია „თიბისი ბროკერი“, „უძრავი ქონების მართვის ფონდი“, „საბანკო სისტემების მომსახურების კომპანია“, „თიბისი ფეი“, ასევე „გაერთიანებული საფინანსო კორპორაცია (აქციების 93 პროცენტი), „თიბისი კრედიტი“ (75 პროცენტი) და ისრაელში რეგისტრირებული საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის კომპანია „თიბისი ინვესტი“.

ბოლოს ხაზი გვინდა, გავუსვათ იმას, რომ კომერციული ბანკებისთვის არაპროფილური აქტივების ფლობის შეზღუდვა-აკრძალვის ინიციატორები სამშენებლო კომპანიები იყვნენ. ეროვნული ბანკის ხელმძღვანელობაც ამასთან დაკავშირებით თავდაპირველად სწორედ დეველოპერული კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა, ამდენად, ბუნებრივია, რომ მიღებული გადაწყვეტილებით ისინი კმაყოფილებას გამოხატავენ.

ᲜᲘᲜᲝ ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲘᲐ

◎ კითხვები, რომლებიც აუცილებლად მოითხოვს პასუხს

განა მარტო თრუსოს ხეობა!..

რაც ახლა თავში აზრები მომდის, აღმოვაჩინე, რომ არახალია. შემრცხვა, რას ვერჩი ჩემს ძვირფას მკითხველს, თითქმის 25 წელია რად ვაიძულებ იმ მძიმე საკითხებზე იფიქროს, რაც ჩვენს სამშობლოს სჭირს, მაგრამ, იმ იმედით, რომ სამშობლოს ჭირი და ტკივილი ყველასი თუ არა, ბევრი ჩვენგანის ტკივილია, ვფიქრობ და ვწერ იმას, რაც მტკივა. რა ვქნა!.. ეს ბოლო წლებია, ჩვენი საშველი არ იქნა და დღემდე არც არის...

„თრუსოს ხეობა ერთ-ერთი ულამაზესი მხარეა საქართველოში ლამაზი მთებითა და მინერალური წყლებით. ხეობის ცენტრში მთავარანგელოზის მთაზე აღმართულია მთავარანგელოზის (ოსურად: „Taranjeloz“) სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესია. თრუსოს დასავლეთით მდებარე უკიდურესი სოფელია რეს(ი), ხოლო აღმოსავლეთით – ნოგ-ყაუ (ქართულად ეს ახალსოფელს ნიშნავს). ზოგიერთი ცნობით, თრუსოს ხეობას ეკუთვნის ასევე მის აღმოსავლეთით მდებარე სოფლები – ალმასიანი, კობი და უხათი, რომლებიც დანარჩენ თრუსოს ხეობის სოფლებთან ერთად ქმნიან კობის თემს (ყაზბეგის მუნიციპალიტეტი).

„აი, ეს მშვენიერი მხარე... მხარე კი არადა, მხარი, მთლიანი საქართველოს სისხლხორცეული ორგანო, ცბიერებით, ეშმაკობით, ვერაგობით ახლა სადავო ტერიტორიად სურთ რომ აქციონ. მოდავენი ბევრი გვყავს, მაგრამ მაინც ვიკითხოთ, ვინ გვედავება? გვედავებიან რუსული პოლიტიკით აღგზნებული ოსი სეპარატისტები „გმირი“ კოკოითის მეთაურობით. ეს მართლაც ასეა, თუმცა, სანამ ერთ დროს მოყვრულად შემოსულ და ამჟამად მადააღძრულ მტრებზე ვისაუბრებდეთ, მანამ ჩვენს გულში, ჩვენს ხასიათში და არა მარტო ხასიათში, არამედ პოლიტიკაში ჩავიხედოთ, იქნებ იქაც აღმოვაჩინოთ მიზეზი დღევანდელობისა, ჩვენი ტერიტორიების დამცრობისა და იმ განწყობისა, რაც სამშობლოს უბედობით შეძრულებს დაგვუფლებია. ერთი ქართული არაკი მაგონდება, ვინმე გლახაკმა მასპინძელს რომ სთხოვა, აგერ ჭიშკართან გამათევინე ღამე, თუ შეიძლებაო, მერე ეზოშიო და ბოლოს, კეთილი მასპინძლის ხასიათით შეთამამებულმა მის ჭერქვეშ დაიდო ბინა, მასპინძლისთვის კი იქ ადგილი არ აღმოჩნდა... განა ასე არ დაგვემართა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეებში მცხოვრებ აბორიგენებს?! მხოლოდ კეთილი გულით არ დაგვმართნია ის, რაც გვჭირს, უფრო ბრიყვულსა ჰგავს ჩვენი ქცევები. ძმები, ძმებიო, ვეძახეთ და ცხინვალიდან ფეხი ამოგვაკვეთინეს ჩვენმა ძმებმა. კიდევ უფრო იქეთ ჩაგვაჩოჩეს, ახალგორიც მიითვალეს და მადააღძრულებს ახლა თრუსოს ხეობაც მონდომებიათ... (აფხაზეთს ნუ გამახსენებთ!)

არა, ყველაფერი აგრესორი რუსეთის ბრალიაო, – გავიძახით და გულს ვიმშვიდებთ, რა მნიშვნელობა აქვს, რა ეროვნების არის ჩვენი მტერი ან ის ადამიანი, რომელიც შენი მტრის მხარეს დაიკავებს, დაივიწყებს მეგობრობას, სიყვარულს, ერთგულებას, სიკეთეს, პატივისცემას და შენი სიცოცხლის ხელსაყოფადაც კი გამოიწევს? ქართველი იყოს თუნდაც, განა ამ დროს მტრის ეროვნებას აქვს მნიშვნელობა? ბაღაფშები და ძმანი მათნი, ქართველები თუ იყვნენ, გვარგეს კი ამით რამე? მტერი მტერია, დღემდე უამრავი შემაძრწუნებელი მაგალითი ახლავს ჩვენს ისტორიას, ეს ყველამ კარგად ვიცით!

ცხინვალში მცხოვრებთა იმ ნაწილმა, რომელსაც ხელისუფლებისა და დიდკაცობისაკენ გაურბოდა თვალი, რუს აგრესორებს საბაბი მისცა, თორემ არა მგონია, დღეს გაუცხოებული ცხინვალი შეგვრჩენოდა ხელში... საქმე ის არის, რომ მტერი არ ცხრება, ახალ-ახალ ისტორიებს იგონებს და ოს ხალხს თავგზას უბნევს – თრუსოს ხეობაც თურმე ჩვენი ყოფილაო. ენას ძვალი არა აქვსო, იტყვიან. კი ბატონო, მაგრამ ყველაფერს, მიწას, სოფელს, ქალაქს, უძვლო ენით ნათქვამი არაკები კი არა, მეცნიერულად ჩამოყალიბებული და დასაბუთებული ისტორია აქვს, საჭირო გამხდარა მისი გამრავლება და გავრცელება, რადგანაც, როგორც ვხედავთ, მტერსაც და ზოგიერთ მოყვარესაც კი მოკლე მეხსიერება ჰქონია თურმე! თუმცა, უნდა ვთქვათ სიმართლე, ვუვლით კი ჩვენ ჩვენს საკუთარ ისტორიას და ჩვენს ისტორიულ მიწა-წყალს?

დიახ, მივიხედ-მოვიხედოთ, ვნახოთ, რას როგორ ვუვლით. ცალი თვალით მაინც შევიხედოთ ახლა რა ხდება ამ თრუსოს ხეობის სოფლებში. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ არაფერიც არ ხდება, ნამდვილად არაფერი! ანდა, რა უნდა ხდებოდეს, როდესაც ადამიანის სული იქ არ ჭაჭანებს, არადა, მიტოვებული სახლების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, როგორც ჩანს, ოდესღაც იქ სიცოცხლე ჰყვაოდა... ახლა კი ჩამკვდარა ყველაფერი, ჩამონგრეულა სახლები, შემზარავი უკაცრიელობაა ირგვლივ, უპატრონოდ მიუგდია ჩვენს ხელისუფლებას ეს ულამაზესი კუთხე.

ინტერნეტში მოვიძიე და ვნახე, რომ ერთ ჩვენს თავდადებულ ჟურნალისტს ცალი თვალით კი არა, კარგად, საგულდაგულოდ დაუთვალიერებია თრუსოს ხეობის სოფლები და ამ გაუკაცრიელებულ მიდამოებში, ერთი ბინადარი ქალი – სიმა ბიდიხოვა აღმოუჩენია. მას ეკლესია ეხმარება თურმე. სასწაულია პირდაპირ! რას აკეთებს ამ დროს ჩვენი მთავრობა, რა საშუალებებს და ღონისძიებებს მიმართავს ამ დალოცვილ მხარეში სიცოცხლის ასაღორძინებლად? არაფერს! იქაურობას პატრონის ხელი არ ატყვია. უპატრონო ეკლესიას კი, ეშმაკი ეუფლება და რატომ უნდა გაგვიკვირდეს თუ ეშმაკი უკვე იღვწის? საკითხავია ის ადამიანები, ვისაც ქვეყნის მოვლა ეკისრება, რას აკეთებენ ამ დროს? რას აკეთებენ და ვითომ სხვა საქმე არაფერი აქვთ, ერთმანეთს უწყობენ კარნავალისებურ, სანახაობრივ სამსჯავროს, როცა ათასგვარ განსაცდელში ჩავარდნილ ქვეყანას ერთობა, ერთიანი ხედვა, მეტი ჭკუა-გონება და სიბრძნე სჭირდება. დღეს ჩვენი საზოგადოება შეცბუნებულია. ზოგს უხარია ქვეყნის სამი მინისტრის ჩამოცილება პოსტიდან, ზოგს კი გულწრფელად სწყინს.

რატომ მოდიან პოლიტიკაში ამ დარგის არმცოდნენი? რატომ ილტვიან სამთავრობო თანამდებობისკენ? რატომ გვიმტკიცებენ, რომ ისინი განსაკუთრებით დიდი ხელფასებისა და მდიდრული ცხოვრების ღირსნი არიან? მაკიაველის სიტყვები გამახსენდა: **„მონარქიებსა და დესპოტურ სახელმწიფოებში არავინ ესწრაფვის თანასწორობას, იგი აზრადაც კი არავის მოსდის: იქ ყოველი ადამიანი უპირატესობისკენ ილტვის. ყველაზე უფრო დაბალი მდგომარეობის ადამიანებსაც კი ამ მდგომარეობიდან გამოსვლა მხოლოდ სხვებზე გაბატონებისათვის ჰსურთ.“**

ჩვენთანაც ხომ ასეა თითქმის. ყველას თუ არა, მთავრობაში ხალხის მიერ არჩეულებს სიმდიდრისკენ საოცარი სწრაფვა ეუფლებათ და არა ამომრჩევლებისადმი თანადგომა და მათთვის მსახურება, რა ხდება? ნუთუ გრძელდება ის, რაც იყო, რის წინააღმდეგაც ქარიშხლიანი დღეები გადავიტანეთ?

როდის გაჩნდება თანასწორობისა და ზომიერების ნიშნები, როდის იგრძნობს და გაიგებს ჩვენი მთავრობა ხალხის ჭირ-ვარამს. როდის მოიცლის ჩვენი მთებისა და ხეობებისთვის, როდის მიხედავს საზღვრისპირა სოფლებს, როდის მოივლიან და გაეცნობიან საკუთარ სამშობლოს. ევროპაში კომფორტული მგზავრობა გაცილებით ადვილიც არის და საამოც, გნებავთ, აუცილებელიც, მაგრამ რისთვის, ჯერ ხომ შენი საკუთარი მიწა-წყლისთვის თავი ვერ მოგიყრია! როგორმე ხომ უნდა მოიცალონ, წავიდნენ თრუსოს ხეობაში და ერთხელ მაინც ჩაატარონ საპარლამენტო სხდომა. იქნებ ერთი ქოხიც აიშენონ თავშეყრისათვის და სასტუმროც მიაყოლონ...

სამწუხაროდ, თრუსოს ხეობა არ არის ერთადერთი და გამონაკლისი. ქვეყნის არც ერთი მხარე, არც ერთი საზღვარი არ არის დაცული საჭიროებისამებრ. რა უნდა ვქნათ? რა უნდა იმოქმედოს, როგორ იღვაწოს ჩვენმა ხელისუფლებამ? თითოეულმა მისმა წევრმა წარბშეუხრელად აიღოს უზარმაზარი ხელფასი, ჩვენ, რიგით მოსამსახურეებს, ერთ წელიწადში რომ არ გვეღირსება, მათთვის ერთი კვირის შემოსავალი უნდა გახდეს, რაღაც ახალი სახეობის ჯამაგირ-დანამატის სახით თუ მაქსიმალურად დაზოგონ თანხები, ფუფუნებით კი არა, იცხოვრონ ჩვეულებრივი, ადამიანური ცხოვრებით (კი, ბატონო, ჩვენზე უკეთ და არა ოლიმპოს ღმერთებივით!). დაზოგილი ფულით კი ქვეყნის განაპირა მხარეები გააცოცხლონ და ააღორძინონ?

ჩვენი სამშობლოს საზღვრებზე ფიქრში უამრავი სატკივარი წამომეწია. რუსეთი ახალ -ახალ დოკუმენტაციებს, ხელშეკრულებებს იგონებს, ჩვენი ტერიტორიების ანექსია რომ გაამყაროს. მტერი აბა რისი მტერია, მაგრამ საკითხავია, ვართ კი ჩვენ ერთმანეთში მოყვრულად?

გულნარა სტურუა

◎ აღსრულების ეროვნული ბიურო

ვის შეუძლია დაგვაჯარიმოს და რამდენით?

აღსრულების ეროვნული ბიურო, მოქალაქეების ინფორმირების მიზნით, ადმინისტრაციული ჯარიმებისა და მათი ოდენობის შესახებ ინფორმაციას ავრცელებს. ბიუროს ინფორმაციით, პირს (ფიზიკური/იურიდიული) ადმინისტრაციული სამართალდარღვევის გამო შეიძლება დაეკისროს ადმინისტრაციული სახდელი. ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გავრცელებული მაგალითებია: **საგზაო წესების დარღვევა – დამჯარიმებელი ორგანო საპატრულო პოლიცია; საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობა – შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანია“; ზოგიერთი კომუნალური გადასახადის გადაუხდელობა –– სს „თელასი“, სს „ენერგო-პრო ჯორჯია“, სს „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“; საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა (მათ შორის ალკოჰოლური სასმელის მოხმარება საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში) – სასამართლო, საპატრულო პოლიცია; გარემოს დაბინძურება – გარემოს დაცვის ინსპექცია; ნარკოტიკული საშუალების მოხმარების პირველი შემთხვევა – სასამართლო; საფასურის გარეშე დგომა ან დგომისა და გაჩერების წესების დარღვევა – შპს „სითი პარკი“; გარემოს დაბინძურება, ხე-ტყის უკანონო ჭრა, ბრაკონიერობა და ა. შ. – გარემოს დაცვის ინსპექცია და სხვა.**

ადმინისტრაციული სახდელის გავრცელებული სახეობაა ჯარიმა – ფულადი თანხა.

ჯარიმის კანონით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობა ხშირ შემთხვევაში იწვევს მასზე დამატებითი თანხის – საურავის დარიცხვას. მაგალითად: საზოგადოებრივი ტრანსპორტით უბილეთოდ მგზავრობა ჯარიმდება 5 ლარით, რომელსაც 30 დღეში გადაუხდელობის შემთვევაში ემატება საურავი 50 ლარი და აღსრულების საფასური 20 ლარი. სულ ჯამში 75 ლარი; შპს „სითი პარკი“ – საფასურის გარეშე დგომა ან დგომისა და გაჩერების წესების დარღვევა – ჯარიმა 10 ლარი, საურავი 150 ლარი, აღსრულების საფასური 32 ლარი. სულ ჯამში 192 ლარი; პატრული – ქვეითთა მიერ საგზაო წესების დარღვევა და სხვა – 10 ლარი, საურავი 20 ლარი, აღსრულების საფასური 20 ლარი. სულ ჯამში 50 ლარი; პატრული – საავარიო ვითარების შექმნა. ჯარიმა 200 ლარი, საურავი 400 ლარი, აღსრულების საფასური – 50 ლარი. სულ ჯამში 650 ლარი; სს „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ – ბუნებრივი აირის მოხმარების წესების დარღვევა. ჯარიმა 100 ლარი, საურავი არ ერიცხება, აღსრულების საფასური 30 ლარი. სულ ჯამში 130 ლარი; სს „თელასი“. ელექტროენერგიის მოხმარების წესების დარღვევა. ჯარიმა 100 ლარი, საურავი არ ერიცხება, აღსრულების საფასური 30 ლარი. სულ ჯამში 130 ლარი.

აღსრულების ეროვნული ბიურო მოქალაქეებს მოუწოდებს, რომ ყურადღება მიაქციონ ჯარიმის ქვითარზე სასამართლოს დადგენილებაზე მითითებულ გადახდის ვადას, რათა თავიდან აიცილონ დამატებითი ხარჯები, დაკარგული დრო და ენერგია.

◎ წკეპლიკა

ვარსკვლავთცვენა საქართველოში

ერთი ხანია, ცის კაბადონზე ვარსკვლავებს ვერ ვხედავ, სამაგიეროდ, ვარსკვლავების ცვენაა საქართველოში, ქუჩები ვარსკვლავთა სიმბოლოებით აივსო, ვინც კი ერთხელ პირი გააღო, ვარსკვლავად მონათლეს. ვარსკვლავები ჟურნალისტიკაშიც მომრავლდნენ. ინგა გრიგოლია ავიღოთ თავისი მძაფრი რეაქციით, უაზრო შენიშვნებით, ომახიანი ხმით, ან ასათიანი, ცრემლებით დანამული სასიყვარულო ამბებისა და სექსუალური უკმარისობის შესახებ გადაცემით, ან აქუ თავისი უმდიდრესი ერუდიციით, რჩევებით, განსწავლულობით? (ისე ამ არხს „აქუს მონოლოგი“ უნდა ერქვას).

პოლიტიკოსებიც არ დარჩნენ გულდაწყვეტილნი. იქაც ბლომად გვყავს ვარსკვლავი, ნაცვარსკვლავები, ენაბილწები, მატყუარები.

როდემდე უნდა გაგრძელდეს ვარსკვლავთცვენა საქართველოში? თუმცა რატომ მარტო საქართველოში? არის ერთი დიდი ნაცვარსკვლავი, იგი შორს, შორს არის საქართველოდან, მაგრამ არ გვივიწყებს და დამიზნებულად „გვანათებს“.

ლონდა მდივანი

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

ოკეანის ზვიგენი პატარა ტბაში

„სოჭში ხელმოწერილმა რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებამ აფხაზურ და ქართულ ელიტაში ნერვიულობა გამოიწვია“, — აღნიშნულია ჟურნალ „კომერსანტ-ვლასტ“-ში გამოქვეყნებულ ალექსეი ტოკარევის სტატიაში, რომელშიც ვრცლადაა გადმოცემული და გაანალიზებული ორმხრივ დოკუმენტთან დაკავშირებული მოვლენები. გთავაზობთ ამონარიდებს სტატიიდან:

„როგორც კი აფხაზეთში დიპლომატიური არხებით რუსეთთან ხელშეკრულების პროექტი მიიღეს, აფხაზურმა ელიტამ და საზოგადოებამ დაიწყო ისეთი სიტყვების თუ ტერმინების ძიება, რითაც შესაძლებელი იქნებოდა, გაემართლებინათ თავიანთი სურვილი — ხელი არ მოეწერათ სწორედ ისეთი შინაარსის მქონე დოკუმენტისთვის, როგორსაც მოსკოვი სთავაზობდა და, იმავდროულად, თბილი ურთიერთობები შეენარჩუნებინათ სახელმწიფო-მფარველთან. ამ მხრივ განსაკუთრებით აშკარა იყო აფხაზეთის ყოფილი პრეზიდენტის ალექსანდრე ანქვაბის პარტია „ამცახარას“ მცდელობა, რომლის ყრილობაზე საკმაოდ კრიტიკული განცხადებები გაისმა (...)

აფხაზეთის დღევანდელი პრეზიდენტის რაულ ხაჯიმბას ადმინისტრაციის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი ამბობს, თუ როგორი „საჩუქრები“ დატოვა ალექსანდრე ანქვაბმა გადადგომის შემდეგ. მხედველობაშია საზოგადოებაში აქტიურად მოარული ხმები, რომელთა თანახმად, „ანქვაბი იმიტომ გადადგა, რომ მას ხელშეკრულების რუსულ „კაბალურ“ პროექტზე ხელმოწერა არ სურდა“, იგი მოსკოვმა აიძულა, თანამდებობა დაეტოვებინა, რაულ ხაჯიმბა კი მას დაუყონებლივ ხელს მოაწერსო, თუმცა, ეს ასე არ მოხდა: ხელშეკრულების პროექტს საკმაო ხნის განმავლობაში იხილავდნენ როგორც პარლამენტში, ისე საზოგადოებაში (...)

სოხუმისა და თბილისის პოლიტიკური ელიტების დამოკიდებულება რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებისადმი

სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით, სადაც მაგისტრალური განწყობა ოსი ხალხის გაერთიანება და რუსეთის შემადგენლობაში შესვლაა, აფხაზეთის მოსახლეობის ცნობიერებაში სუვერენიტეტის ცნება ღრმადაა გამჯდარი. მართალია, პოლიტიკური ელიტა და მოსახლეობა გრძნობს, თუ როგორი მადლობელი უნდა იყვნენ რუსეთისა, მაგრამ იმავდროულად სოხუმი დარწმუნებულია, რომ რესპუბლიკა დამოუკიდებელი უნდა დარჩეს.

ექსპერტები, რომლებიც რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობის ანალიზს აკეთებენ, არცთუ ისე იშვიათად სოხუმ-მოსკოვის ერთმანეთთან დამოკიდებულებას მდიდარი მამაკაცისა და მისი ხარჭის ურთიერთობას ადარებენ, ანუ ვინც ფულს გიხდის, მისთვის უნდა იცეკვო. მაგრამ ერთი ნიუანსით: ამგვარ კოორდინატთა სისტემაში აფხაზეთი იმდენად ამაყი ქალია, რომ მას რომ უსაყვედურო, მე გინახავ და უნდა დამემორჩილოო, იგი სილას გაგაწნავს და მიგატოვებს, მაგრამ ყოფილ ქმარს არ დაუბრუნდება და მარტო დარჩენას ამჯობინებს. აფხაზებს პატივისცემით უნდა მოეპყრო, მათი ხასიათის გათვალისწინებით, ყოველგვარი ამ ტიპის საყვედურების გარეშე — **„გაიხსენე, ვინ იყავი და სად იქნებოდი, მე რომ არ დაგხმარებოდიო“.**

აფხაზეთში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ტრენდი (ტენდენცია) არსებობს: პოლიტიკური დამოუკიდებლობის მტკიცე სურვილი და სულ უფრო მეტი ეკონომიკური დამოკიდებულება რუსეთზე, რომელიც რესპუბლიკის დესუვერენიზაციას აღრმავებს. აფხაზეთისადმი რუსული დახმარების შედეგები შეიძლება ზღვის ტალღების მოქმედებას შევადაროთ: თავდაპირველად ის ძლიერია, შემდეგ კი მისი ძალა და შედეგი თანდათან მცირდება... მდინარე ფსოუდან სოხუმამდე კარგად გარემონტებული გზაა, მაგრამ სოხუმის იქით საქართველოს საზღვრამდე ტიპიური რუსული გზა იწყება — ორმოებით და ასფალტის ნარჩენებით (...)

იურიდიულად სუვერენული სახელმწიფოს რუსეთზე დამოკიდებულების ზრდის მიუხედავად, რუსული დოტაციები საზოგადოების ფასეულობათა დონეზე გავლენას არ ახდენს. **„მერე რა, რომ ყველაფერი რუსეთიდან შემოდის და მოსკოვი გვმფარველობს. აფხაზეთში დამოუკიდებლობის იდეა ყოველთვის ცოცხლობს. ჩვენში ყოველთვის იქნება ათეულ ათასობით ადამიანი, რომელიც ავტომატით ხელში სამშობლოს დაიცავს“,** — ამბობს აფხაზეთის საზოგადოებრივი პალატის წევრი ალხას თხაგუშევი. ამასთან იგი იმასაც აცნობიერებს, რომ ჩრდილოელ მეზობელზე დამოკიდებულება აფხაზეთს საბოლოოდ რუსეთის რეგიონად გადაქცევის ბედს უმზადებს: **„თუ ჩვენ მასწავლებლისა და მოსწავლის მსგავსი ურთიერთობა გვექნება, უნდა ვივარაუდოთ, რომ მასწავლებელი დაინტერესებული უნდა იყოს, მოსწავლე მასზე უკეთესი გაიზარდოს, ხომ ასეა? მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენს ელიტას (როგორც ხელისუფლებაში, ასევე ოპოზიციაში) არ სურს პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე რესპუბლიკის განვითარებისათვის და რუსულ დოტაციებზე ცხოვრებას ამჯობინებს“.**

შეკითხვაზე, „ვინ და რატომ დააჩქარა რუსეთში ხელშეკრულებაზე ხელმოწერის პროცესი“, ყველა პასუხობს: „ვლადისლავ სურკოვმა“ (რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში). ასლან თხაგუშევი ასე განმარტავს სიტუაციას: **„ოკეანის ზვიგენი რომ პატარა ტბაში გაუშვა, ბუნებრივია, ის თავისი საქმის გაკეთებას ეფექტიანად და სწრაფად შეეცდება, რათა ასევე სწრაფად დაბრუნდეს ჩვეულ გარემოში“** (...)

საქართველოში რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულებამ შიდაპოლიტიკური სიტუაციაა მნიშვნელოვნად გაამწვავა: ნოემბრის დასაწყისში პოლიტიკური კრიზისი განვითარდა (...)

დღევანდელი საქართველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ დისკურსში ელიტას საზოგადოების მართვისათვის ორი ბერკეტი აქვს — თაფლაკვერი და მათრახი: პირველი ევროკავშირთან და ნატო-სთან ინტეგრაციაა, მეორე კი რუსეთთან ურთიერთობა. პირველთან მიმართებით საზოგადოება უფრო კონსოლიდირებულია, რადგან ადგილობრივი მასმედია ხელს უწყობს ანტირუსული განწყობის გაღვივებას და ეს ხდება არა მარტო ქართული, არამედ რუსული მედიის მიერაც. ბრალდებები „პრორუსულობაში“ და „ევროინტეგრაციის ჩაშლაში“ ქართველ პოლიტიკოსებს შორის ჩვეულებრივი ამბავია და ძალიან ჰგავს აფხაზურ სიტუაციას, სადაც პოლიტიკოსები ერთმანეთს „პროქართველობას“ წამოაძახებენ ხოლმე.

სწორედ „ევროინტეგრაციის ჩაშლის მცდელობა“ და „რუსეთისადმი ყურადღება“ წამოაძახეს ერთმანეთს საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ალასანიამ და მთავრობის თავმჯდომარემ ირაკლი ღარიბაშვილმა (...)

მართალია, სტანდარტული კონსტრუქცია „ხელისუფლება-ოპოზიცია“ საქართველოში ჯერ კიდევ რუსეთ-აფხაზეთის ხელშეკრულების გაფორმებამდე დაიშალა (პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, ამას დაემთხვა შიდაპოლიტიკური უთანხმოებანი მმართველი კოალიციის ცალკეულ ფიგურანტებსა და პარტიებს შორის, საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის), მაგრამ მათი ურთიერთობა სოჭში მომხდარმა მოვლენამ უფრო გაამწვავა. შეიძლება ითქვას, ორივე მხარემ — პოზიციამაც და ოპოზიციამაც თავისი ინტერესებისათვის გამოიყენა (...)

საქართველოში არცერთ რაციონალურად მოაზროვნე ადამიანს აფხაზეთის საგარეო ვექტორისადმი ილუზიები არ აქვს, თუმცა აშკარაა, რომ სოხუმისათვის ხელშეკრულების „შეტენვის“ დროს რუსეთმა აფხაზეთის მიმართ რამდენიმე გარემოება მხედველობაში არ მიიღო: პირველი — არ იყო ბოლომდე ჩამოყალიბებული ხელისუფლების ვერტიკალი და მისი სტრატეგია; მეორე — ოპოზიცია აქტიურად თამაშობს აფხაზთა ტრადიციულ ფობიაზე — სუვერენიტეტის დაკარგვაზე და მესამე — „ზემოდან, დიპლომატიურად ჩამოშვებული“ ხელშეკრულება არ აკმაყოფილებს აფხაზური ელიტის იმ ნაწილს, რომელიც „პროცედურულ პატივისცემას“ ითხოვს. ამ სიტუაციაში რუსეთი იძულებულია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მიაქციოს ყურადღება აფხაზეთის სპეციფიკას (...)

მოკლედ, ხელშეკრულება ხელმოწერილია; აფხაზური საზოგადოება მთლიანობაში თანახმაა; რუსეთი აგრძელებს აფხაზეთის დახმარებას ადგილობრივი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ელიტის მომხმარებლური განწყობის გათვალისწინებით; აფხაზეთის ეკონომიკის განვითარება შიდა რესურსების გამოყენებით ჯერ კიდევ ღიად რჩება; საქართველოსთან მეტ-ნაკლებად მისაღები ურთიერთობის იმედები ჯერჯერობით ისევ ცოცხლობს.

Коммерсантъ власть

დედამიწის ზურგზე

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა პროგნოზი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს შეიძლება გაგრძელდეს კონფლიქტი რუსეთთან

კრიზისი ევროკავშირისა და რუსეთის ურთიერთობებში უკრაინის გამო შეიძლება გაგრძელდეს ათ წელზე მეტი ხნით, მიაჩნია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ხელმძღვანელს ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერს. ადრე ამგვარი გაფრთხილებით გამოვიდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ანგელა მერკელი. ამავე დროს, შტაინმაიერის სიტყვებით, ცეცხლზე ნავთს ასხამს უკრაინის მისწრაფება ნატოსკენ, სადაც მას „ვერ ხედავენ“.

* * *

დიდ ბრიტანეთში სულ უფრო და უფრო მეტ ბავშვს არძმევენ მუსლიმანურ და ინდურ სახელებს, წელს ამ საძმეში კვლავ მუჰამედი ლიდერობს

2014 წელს ქვეყანაში ბავშვებისთვის ყველაზე პოპულარული სახელები გახდა მუჰამედი ბიჭებისთვის და სოფია გოგონებისთვის. არაბი წინასწარმეტყველის სახელი უკვე დიდი ხანია და მყარად იპყრობს ტოპ-ფურცლის მწვერვალს, მას კომპანიას უქმნის სულ უფრო და უფრო მეტი აღმოსავლური და აზიური სახელი.

* * *

სამხრეთ კორეაში უცნობმა ცეცხლი გახსნა ამერიკის ავიაბაზაზე

ერთი მონაცემებით, ინციდენტის გამო სამი სკოლა აღმოჩნდა დახურული. სხვა მონაცემებით, ალყაშია მთელი ბაზა. მომხდარის ადგილზე მივიდნენ უშიშროების ძალების თანამშრომლები. რაიმე წვრილმანებს სროლების შესახებ არ მიუთითებენ. დაზიანებულთა შესახებ ინფორმაცია არ არის.

* * *

პოროშენკომ განაცხადა, რომ პუტინი მას არ დამუქრებია, და ისაუბრა იმის შესახებ, რუსეთის არმია როგორ შეიჭრა უკრაინაში

გერმანული ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში უკრაინის პრეზიდენტმა ისაუბრა რუსეთის არმიის შეჭრის შესახებ უკრაინის ტერიტორიაზე და დაგვარწმუნა, რომ ქვეყანაში დამკვიდრდება მშვიდობა და სიმშვიდე, როგორც კი „ოკუპანტები“ გაეთრევიან აქედან. მან აგრეთვე ისაუბრა იმაზე, რომ ცნობები კასეტური ბომბების შესახებ საინფორმაციო ომის ნაყოფია, და განაცხადა, რომ „უკრაინელები თავს სწირავენ უფლებისთვის, გახდნენ ევროპელები“.

◎ ჭიდაობა

ყრილობამდე ფედერაციას მაჩაიძე უხელმძღვანელებს

საძართველოს ჭიდაობის ფედერაციაში მას შემდეგ, რაც ამ ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, ორგზის მსოფლიოს ჩემპიონმა ლუკა კურტანიძემ თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ეროვნული ნაკრები გუნდების მწვრთნელები — ოლიმპიური ჩემპიონი რევაზ მინდორაშვილი და ბეგი დარჩია თანამდებობებიდან გაათავისუფლა, დაძაბულობა და დაპირისპირება შეიქმნა. ფალავნები პროტესტის ნიშნად დარბაზში არ შედიოდნენ სავარჯიშოდ. რამდენჯერმე შეიცვალა მწვრთნელებიც. ამჟამად თავისუფლებს ზაზა თურმანიძე დაუბრუნდათ, ხოლო „კლასიკოსებს“ ოლიმპიური ჩემპიონი რომან რურუა ჩაუდგა სათავეში. გუშინ ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდიუმის სხდომა გაიმართა. მის დაწყებამდე ფედერაციის პრეზიდენტმა ლუკა კურტანიძემ უფლებამოსილება შეიჩერა. „ჩვენი ფედერაციის ირგვლივ ბოლო პერიოდში შექმნილ მდგომარეობას ქართული ჭიდაობისთვის მხოლოდ ვნება მოაქვს და ეს ყველაფერი ამად არ ღირსო“. როგორც კურტანიძემ აღნიშნა, 26 დეკემბრისთვის დანიშნულ რიგგარეშე ყრილობამდე ფედერაციას ვიცე-პრეზიდენტი ედიშერ მაჩაიძე უხელმძღვანელებს.

ვაჟა ნოსირელი

◎ ჩოგბურთი

თითო პირველი და მეორე

ანტალიაში გამართულ ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 10.000 დოლარი) ეკატერინე გორგოძე და სოფიო ქვაცაბაია წყვილებში მესამე ნომრად იყვნენ განთესილი. ჩვენებურები ზედიზედ სამი შეხვედრის მოგების შემდეგ ფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს — რეკა-ლუკა იანისა (უნგრეთი) და ჯულია სტამატოვას (ბულგარეთი) დაუპირისპირდნენ. ქართველმა ჩოგბურთელებმა დაძაბული შეხვედრა 7:6, 7:6 მოიგეს და მთავარი პრიზი მოიპოვეს.

ეკატერინე გორგოძემ ერთეულთა ფინალშიც მოსინჯა ძალები, მაგრამ პირველ ნომრად განთესილმა ასპარეზობის მეორე ნომერ რეკა-ლუკა იანისთან (უნგრეთი) დათმო პაექრობა 0:6, 4:6 და მეორე ადგილს დასჯერდა.

გორგოძე და ქვაცაბაია, სავარაუდოდ, ისევ ანტალიაში დარჩებიან და ახალ 10.000-იან ტურნირში ჩაებმებიან.

ლაშა დიდია

◎ რაგბი

„ყოჩები“ — სრული სვლით!

გასულ უქმეებზე საქართველოს მორაგბეთა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის პირველი ტურის შეხვედრები გაიმართა. შეჯიბრების ლიდერმა ბოლნისის „ყოჩებმა“ გათამაშების ცხრილში მორიგი გამარჯვება ჩაიწერა, მაგრამ პრემიალური ქულა ვერ აიღო და უახლოეს მდევართან ქულათა სხვაობა 11-მდე შემცირდა. მეწინავეებს მეტოქეობა ამჯერად „არმაზმა“ გაუწია. მატჩი დაძაბული გამოდგა და გამარჯვებულის ვინაობაც ბოლო წუთებზე გაირკვა. თბილისელებმა, მართალია, შესვენების შემდეგ პირველი ნახევრის 16-ქულიანი ჩამორჩენა 6-მდე შეამცირეს და ლელოთი დაწინაურების შანსიც ჰქონდათ, მაგრამ მისი გამოყენება ვერ მოახერხეს, სამაგიეროდ, ბოლნისელებმა იყოჩაღეს და 30:17 გაიმარჯვეს.

ეროვნული ჩემპიონატის დანარჩენ მატჩებში ქუთაისის „აიამ“ „შევარდენის“ ხელოვნურსაფარიან მოედანზე თბილისის „ჯიქები“ 25:17 დაამარცხა და სეზონის სტარტზე განცდილი მარცხისთვის რევანში აიღო. დაძაბული პაექრობა იყო რუსთავშიც, სადაც ადგილობრივი „ხარებისა“ და თბილისის „ლოკომოტივის“ შეხვედრა საფეხბურთო ანგარიშით - 3:3 დამთავრდა. ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა „ლელო-სარასენსმა“ დებიუტანტ „თიბიეს-უნივერსიტეტს“ 9 ლელო გაუტანა და 59:10 აჯობა. „ბათუმმა“ ანგისას სტადიონზე „არმიას“ 23:7 მოუგო, საპრემიო ქულაც მიითვალა და მესამე ადგილამდე აღზევდა. საგულისხმოა, რომ ზღვისპირელებმა ზედიზედ სამ შეხვედრაში მიაღწიეს წარმატებას და საპლეიოფო ექვსეულში მოსახვედრად სერიოზული განაცხადი გააკეთეს.

სატურნირო მდგომარეობა: „ყოჩები“ — 40 (247-133), „ლელო“ — 29 (209-148), „ბათუმი“ — 26 (202-175), „ხარები“ — 26 (171-141), „აია“ — 23 (164-160), „ჯიქები“ — 20 (135-135), „არმია“ — 19 (136-184), „ლოკომოტივი“ — 18 (120-134), „არმაზი“ — 14 (137-156), „თიბიეს უნივერსიტეტი“ — 3 (135-290).

6-7 დეკემბერს მომდევნო ტურში ითამაშებენ: „თიბიესი“ — „აია“, „ლოკომოტივი“ — „არმაზი“, „არმია“ — „ხარები“, „ლელო“ — „ბათუმი“, „ყოჩები“ — „ჯიქები“.

თამაზ პატარაია

◎ ჭადრაკი

საუკეთესო ასეულებში — ათი ქართველი

ფიდემ წინა თვის შედეგების გათვალისწინებით ტრადიციული განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნა. ქალებში, ეს უკვე მერამდენე წელიწადია, ასეულს უნგრელი იუდით პოლგარი მეწინავეობს, მაგრამ სულ მალე მას ჩინელი მსოფლიოს ჩემპიონი ჰოუ იფანი გაუსწრებს, რადგან სხვაობა ორი პუნქტია, თანაც 38 წლის მადიარმა აქტიურ ჭადრაკს თავი დაანება, 20 წლის აზიელი კი დიდი გზის სათავეებთანაა. საგულისხმოა ისიც, რომ რეიტინგში საფეხურით წინ წაიწია ნანა ძაგნიძემ და ახლა მე-4 ადგილზეა.



ქალები: იუდით პოლგარი (უნგრეთი, 2675), ჰოუ იფანი (ჩინეთი, 2673), ჰამფი კონერუ (ინდოეთი, 2581), ნანა ძაგნიძე (2570), ცზიუ ვენძიუნი (ჩინეთი, 2568), ანა მუზიჩუკი (უკრაინა, 2545), ალექსანდრა კოსტენიუკი (რუსეთი, 2541), კატერინა ლაგნო (რუსეთი, 2530), მარია მუზიჩუკი (უკრაინა, 2529), ვიქტორია ჩმილიტე (ლიტვა, 2525)...16. ბელა ხოტენაშვილი (2504), 18. ლელა ჯავახიშვილი (2493), 28. სალომე მელია (2473), 39. ნინო ხურციძე (2451), 42. ნინო ბაციაშვილი (2442), 80. სოფიკო გურამიშვილი (2388), 94. მერი არაბიძე (2366), 96. მაია ლომინეიშვილი (2364).

ვაჟები. მაგნუს კარლსენი (ნორვეგია, 2862), ფაბიანო კარუანა (იტალია, 2829), ალექსანდრ გრიშჩუკი (რუსეთი, 2810), ვესელინ ტოპალოვი (ბულგარეთი, 2800), ლევონ არონიანი (სომხეთი, 2797), ვიშვანათან ანანდი (ინდოეთი, 2793), ჰიკარუ ნაკამურა (აშშ, 2775), სერგეი კარიაკინი (რუსეთი, 2773), ვლადიმირ კრამნიკი (რუსეთი, 2769), ანიშ გირი (ჰოლანდია, 2767)... 22. ბაადურ ჯობავა (2733).

გივი გაგუა

◎ კრივი

ფავორიტობისთვის თასი არ კმარა

სასპორტო კომპლექს „არენაში“ დამთავრდა მოკრივეთა საქართველოს თასის გათამაშება, რომელშიც რამდენიმე რეგიონის 80-მდე წარმომადგენელი იბრძოდა საპრიზო ადგილებისთვის. დაძაბული პაექრობების შემდეგ უმთავრესად წონითი კატეგორიების ფავორიტებმა იმარჯვეს, მაგრამ, როგორც კრივის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა დავით კვაჭაძემ და ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა დავით წიკლაურმა გვითხრეს, ნაკრებში ადგილის დასაბევებლად მხოლოდ თასის მოპოვება ან ქვეყნის ჩემპიონობა არ კმარა. **„წინა წლების მწარე გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ სპორტსმენთა უმრავლესობა საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრებში თავს რომ დაიგულებდა, თავდაჯერებული გულიანად აღარ ვარჯიშობდა. ახლა თითოეულ წონაში კონკურენციის გასაზრდელად ყველა სპორტსმენს მნიშვნელოვან შეჯიბრებამდე საერთაშორისო ტურნირებში გამოვცდით, ჩავატარებთ თავისუფალ ორთაბრძოლებს და მხოლოდ ამის შემდეგ დავაკომპლექტებთ ეროვნულ ნაკრებს“,** — გვითხრა წიკლაურმა.

დავით კვაჭაძე: „გაისად მნიშვნელოვანი ასპარეზობები გველის, რადგან სალიცენზიო წელია. მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატების გარდა, რიოს სალიცენზიო ტურნირებიც გაიმართება ბაქოსა და თურქეთში. ნაკრების მწვრთნელები ყველაფერს გააკეთებენ წარმატების მისაღწევად. თამაშებისთვის ერთი ან ორი საგზურის მოპოვებას ვგეგმავთ“.

ახლა კი წონითი კატეგორიების მიხედვით საქართველოს თასის მფლობელთა ვინაობას გაგაცნობთ: **მიხეილ კაზანჯიანი** (49 კგ, თბილისი), **დათო ნანავა** (52, ფოთი), **გიორგი გოგატიშვილი** (56, ფოთი), **ოთარ ერანოსიანი** (60, ახალქალაქი), **ჯემალ შალამბერიძე** (69, ქუთაისი), **რომან თავაძე** (81, ქუთაისი), **ლევან გულედანი** (91, თბილისი), **მიხეილ ბახტიძე** (+91, ქუთაისი).

ლექსო ცინცაძე

◎ ტაგლო

ფეხბურთი. XXVI ეროვნული ჩემპიონატის XIV ტური. „დინამო“ — „გურია“ 1:2, „მეტალურგი“ — „ცხინვალი“ 1:1, „დილა“ — „მერანი“ 1:0, „ზესტაფონი“ — „ბათუმი“ 2:4, „სიონი“ — „ზუგდიდი“ 0:0, „კოლხეთი“ — „ვიტ ჯორჯია“ 2:1, „სამტრედია“ — „ჩიხურა“ 3:1, „შუქურა“ — „ტორპედო“ 2:1.

სატურნირო მდგომარეობა: „დინამო“ — 29, „დილა“ — 27, „სამტრედია“, „ცხინვალი“ — 24-24, „ბათუმი“ — 23, „მეტალურგი“ — 20, „მერანი“, „ჩიხურა“ — 19-19, „ზესტაფონი“, „გურია“ — 18-18, „შუქურა“ — 17, „ტორპედო“ — 16, „კოლხეთი“ — 14, „სიონი“ — 13, „ვიტ ჯორჯია“, „ზუგდიდი“ — 11-11 ქულა.

* * *

კალათბურთი. ეროვნული თასის გათამაშების პირველი რაუნდი. „არმია“ — „რუსთავი“ 68:82, „დინამო“ — „ოლიმპი“ 65:60, „ბათუმი“ — „სოხუმი“ 80:65, „ქუთაისი“ — შსს აკადემია 74:64.

საპასუხო შეხვედრები 5-6 დეკემბერს გაიმართება.

◎ აღმასვლა

ჰეი, ვინ მოდის მანდ...თეატრიდან?!

— ასეთ ახალგაზრდას, გამოუცდელს, არ გაგიჭირდა პოპულარულ ტელესერიალში, ცნობილ მსახიობებთან თამაში?

— გამოუცდელი სულაც არ მეთქმის, შვიდი წელია, ბავშვთა თეატრ „მეორე სახლი - 2“ - ის მსახიობი ვარ...

სიამაყე, მეთერთმეტეკლასელ **ბუბა მათნაძის** ამ პასუხში რომ გამოკრთის, ალბათ, გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თვითონ „ჩემი ცოლის დაქალების“ პოპულარობა.

ამ თეატრის ოდნავ უფროსი წარმომადგენელი **დაჩი ბობოხიძე** უკვე სამსახიობო ფაკულტეტის პირველკურსელია — **ლევან წულაძის** ჯგუფში ასპროცენტიანი დაფინანსებით ჩარიცხული.

მათთვის ბავშვთა თეატრი ნამდვილად მეორე სახლი იყო, მაგრამ რას ნიშნავს „მეორე სახლი — 2“? — იმას, რომ კონფლიქტები ასეთ თეატრებშიც ხდება. და „მეორე სახლიც“ ორად გაიყო. რას ვიზამთ, თავს მხოლოდ იმით თუ ვინუგეშებთ, რომ „ზოგი ჭირი მარგებელია.“ მართლაც, თავის დროზე, მარჯანიშვილი და ახმეტელი ერთად რომ დარჩენილიყვნენ, ორი დიდი თეატრი ხომ არ გვექნებოდა? და ვინ იცის, იქნებ ამ მოზარდებშიც იმალება ვერიკო, სესილია, უშანგი, აკაკი, სერგო... კი, მტკივნეული იყო, ორი რეჟისორისგან „კავკასიურ ცარცის წრეში“ მოქცევა, მაგრამ არჩევანი გულის კარნახმა გაუადვილათ: ზოგმა **ლაშა მესხი** აირჩია, ზოგმაც — **როლანდ ქარდავა**.

„მეორე სახლი — 2“ — ეს რეჟისორ ლაშა მესხისა და მსახიობ **ნინო მესხის** სამწყსოა.

და გრძელდება წარმოდგენები, რეპეტიციები, პრემიერები...

გაყოფის შემდეგ, სულ რამდენიმე თვეში, მნიშვნელოვანი გამარჯვების მოპოვებაც მოასწრეს — სიღნაღში გამართულ ბავშვთა თეატრების ფესტივალზე არა მხოლოდ **გრან-პრი** ერგოთ, არამედ კიდევ არაერთი პრიზიც: მთავარი როლების საუკეთესო შემსრულებლებად **ანასტასია ლოლუა, ნუცა სანაძე, გიორგი აბაშიძე და ლუკა გაბიძაშვილი** დასახელდნენ; მეორეხარისხოვანი როლების საუკეთესოდ განმასახიერებლებად — **თათია გაბიძაშვილი, ნიკა ბაღაშვილი, ლუკა მუხიგულაშვილი და ბუბა მათნაძე**; „მაყურებლის სიმპათიის პრიზი“ **თათია გაბიძაშვილსა** და **ნიკა ბაღაშვილს** ერგოთ; „ფესტივალის აღმოჩენად“ **ნიკა შაბურიშვილი** აღიარეს...

ფესტივალის ორგანიზატორმა **მამუკა ლომაშვილმა** და ჟიურის თავმჯდომარემ, მსახიობმა **ნინო ხომასურიძემ** განსაკუთრებით აღნიშნეს „მეორე სახლი - 2“ -ის სპექტაკლების მაღალი მხატვრული დონე.

კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდანო, - იკითხა პოეტმა.

ეს კითხვა თეატრის სფეროშიც აქტუალურია.

ამიტომაც არის მნიშვნელოვანი ბავშვთა თეატრების არსებობა.

ზოგი მსახიობად გაიზრდება, ზოგიც — გემოვნებიან მაყურებლად. ერთნიც და მეორენიც — სრულფასოვან მოქალაქეებად.

„მეორე სახლი“ გაყოფამდეც არასახარბიელო პირობებში საქმიანობდა — აღმაშენებლის 60-ში არსებულ სარდაფში. დღეს ორივე დასი ამ სარდაფშია, რამაც პირობები კიდევ უფრო დაამძიმა.

არადა, ეს ბავშვები ყურადღებასა და მზრუნველობას ნამდვილად იმსახურებენ — მერიისგან, კულტურის სამინისტროსგან, ბიზნესმენებისგან...

მე რომ ბიზნესმენი, მაგალითად, **ლაშა პაპაშვილი** ვიყო, ამაზე უკეთესს ვერაფერს გავაკეთებდი...

მაინცდამაინც პაპაშვილი რამ გამახსენა? — იმან, რომ თეატრისადმი მისი სიყვარული და ყურადღება საყოველთაოდ ცნობილია.

ვინ იცის, იქნებ ამ არაჩვეულებრივ ბავშვებსაც დაეხმაროს.

ვინ იცის...

იოსებ ჭუმბურიძე

◎ იურიდიული კონსულტაცია

რუბრიკას უძღვება „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი

კითხვა: კანონის თანახმად, ვინ ითვლება ქმედუუნაროდ?

ნანა მარღანია

პასუხი: ქმედუუნაროდ ითვლება 7 წლამდე ასაკის მცირეწლოვანი (7-დან 18 წლამდე ითვლება შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ); ასევე ის პირი, რომელიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ აღიარებულია სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ქმედუუნაროდ აღიარებული პირის განკურნების ან ჯანმრთელობის მნიშვნელოვნად გაუმჯობესების შემთხვევაში, სასამართლო აღიარებს მას ქმედუნარიანად.

კითხვა: გთხოვთ, განგვიმარტოთ, როგორი წესით უნდა მოწესრიგდეს სამოქალაქო სამართლის კანონში (კოდექსში) პირდაპირ გაუთვალისწინებელი სამართლებრივი ურთიერთობები?

გიორგი მაჩიტიძე

პასუხი: კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (სამართლის ანალოგია). აქვე გასათვალისწინებელია, რომ სპეციალური ურთიერთობების მომწესრიგებელი (საგამონაკლისო ნორმები) არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ანალოგიით.

კითხვა: მყავს 3 წლის ბავშვი, რომელსაც მამამ გვარი მისცა, მაგრამ აღნიშნულის შემდეგ საერთოდ არ ნახულობს ბავშვს, სადღაც დაიკარგა. იქნებ მაცნობოთ, ჩავითვლები თუ არა მარტოხელა დედად?

ანაიდა აროიანი

პასუხი: შეკითხვაში აღნიშნული პირობები მიხედვით, მარტოხელა დედად არ ჩაითვლებით. თქვენი შვილი, რომლისთვისაც მამას გვარი მიუცია, სარგებლობს ყველა იმ უფლებით, რითაც რეგისტრირებული ქორწინების შედეგად დაბადებული ბავშვი. ასე რომ, თუ თქვენი შვილის მამა ნებაყოფლობით არ მონაწილეობს ბავშვის აღზრდაში, სრული უფლება გაქვთ მისთვის შვილის სარჩენად ალიმენტის დაკისრების თაობაზე მიმართოთ სასამართლოს.

კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, შეუძლიათ თუ არა სამოქალაქო ურთიერთობათა მონაწილეებს განახორციელონ კანონით გაუთვალისწინებელი რაიმე მოქმედება?

იოსებ შალიბაშვილი

პასუხი: სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი, მათ შორის, კანონით პირდაპირ გაუთვალისწინებელი ნებისმიერი მოქმედება. უფლებათა ბოროტად გამოყენებისათვის სხვათა თავისუფლებას იცავს სამოქალაქო კანონების იმპერატიული ნორმები. ცალკეული ჩარევები ადმინისტრაციული აქტების მეშვეობით აკრძალულია.

ეპიტაფია

მცხეთის მეცხოვნე



ვალერიან მამუკელაშვილი და საქართველოს უძველესი დედაქალაქი ერთმანეთისთვის განუყოფელნი იყვნენ. ტყუილად არ უთქვამთ, ბატონ ვალერიანს მცხეთა და მისი შემოგარენი სამამასახლისოდ ებარაო. იგი მცხეთა-ქალაქის ერთგული მეციხოვნე იყო, ეს უძველესი ქალაქი სულშიც ღრმად ჰქონდა დავანებული და ხელისგულზეც სათუთად, სულის საბერად ედო თავისი წარსულითა და აწმყოთი. არც მისი მერმისის ჭვრეტა ეუცხოებოდა ჭეშმარიტ მამულიშვილს, ქართული ენის მეხოტბეს, ქართული სიტყვის ოსტატს.

ვალერიან მამუკელაშვილი 1926 წლის 25 დეკემბერს ქალაქ თელავში დაიბადა. პროფესიით გეოლოგი გახლდათ, მაგრამ მთელი ცხოვრება ქართულ სიტყვას ეფერებოდა. ჟურნალისტური საქმიანობა 1960 წლიდან ჟურნალ „ნიანგში“ კორესპონდენტობით დაიწყო და სიცოცხლის ბოლო წუთამდე მადლიანი კალამი ხელიდან არ გაუგდია.

საქართველოს უძველესი დედაქალაქის სიყვარული და ერთგულება რომ საქმითაც დაედასტურებინა, ამისი საშუალება 1970 წელს მიეცა, როდესაც ქ. მცხეთის საქალაქო საბჭოს თავმჯდომარედ დაინიშნა. იმ დღიდან მცხეთასა და მცხეთელებს უანგაროდ ემსახურებოდა. 1977 წლიდან ბატონი ვალერიანი გახლდათ მცხეთის ხელოვნებისა და ისტორიულ-არქიტექტორული მუზეუმ-ნაკრძალის გენერალური დირექტორი. არჩეული იყო მცხეთის, იყალთოს, ხობის და ჩარგლის საპატიო მოქალაქედ.

ბატონი ვალერიანის შემოქმედება უამრავ ლექსს, მოთხრობას და პუბლიცისტურ ნაშრომს მოიცავს. წლების მანძილზე გახლდათ მწერალთა კავშირის და საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციის წევრი. გამოცემული აქვს მოთხრობებისა და ლექსების კრებულები. მისი ისტორიული ნაშრომი „მცხეთა — იბერიის დედაქალაქი“ უმშვენიერეს წიგნად გამოვიდა და ინგლისურ ენაზეც ითარგმნა.

2003 წელს ცნობილი მწერალი ჟურნალი „ლომისის“ მთავარ რედაქტორად დაინიშნა, პარალელურად გახლდათ გაზეთ „მცხეთა-მთიანეთის“ რედაქტორი.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის მინიჭებული აქვს საქართველოს დამსახურებული ინჟინრის წოდება. კულტურის ძეგლთა დაცვის, რესტავრაციისა და პოპულარიზაციისთვის ბატონ ვალერიანს საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება მიენიჭა. დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის „ჟურნალისტთა კავშირის“ საპატიო სიგელით. არჩეული იყო საქართველოს სატირიკოს-იუმორისტთა ასოციაციის პრეზიდენტად.

1997 წელს დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

ბატონი ვალერიანი გახლდათ ფაზისისა და იყალთოს საერო აკადემიების წევრი. მინიჭებული ჰქონდა ნიკო ნიკოლაძისა და მწერალთა კავშირის პრემიები.

ამაგდარ, სამშობლოსა და თავის საქმეზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანს მადლიერმა მცხეთელებმა თავიანთი სიყვარული და პატივისცემა მისი სახელობის ვარსკვლავის გახსნით დაუფასეს.

მართლაც ვალმოხდილი წავიდა ამ ქვეყნიდან ვალერიან მამუკელაშვილი. მიუხედავად მძიმე ავადმყოფობისა, მაინც ცდილობდა, თავისი უსაყვარლესი ქალაქისათვის მეტი გაეკეთებინა. როგორც წესია, მცხეთა-ქალაქის ერთგული მეციხოვნე თავის უსაყვარლეს ქალაქში გარდაიცვალა 87 წლის ასაკში.

წავიდა დიდი ოჯახის ბურჯი, ქართული სიტყვის მეხოტბე, კეთილშობილი, მუდამ მოყვასის გვერდში მდგომი ადამიანი, მცხეთის ჭეშმარიტი მეციხოვნე და მემატიანე.

მეგობრები

პროფესორ გივი მინდელის საძმოს წევრები დათო დათოშვილი, რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, თამაზ ცინცაძე, ივიკო საყვარელიძე, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ჯუმბერ გონაშვილი, გურამ ახრახაძე, როლანდ იოსელიანი, მერაბ მახარაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, გია მახარაძე, იმედო კახიანი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი პიროვნება

ვალერიან მამუკელაშვილი

და სამძიმარს უცხადებენ მის ოჯახს.

◎ ალიანჩალიანი

გამომძიებლის მკვლელობაში ეჭვმიტანილი დააკავებულია

შსს-ს კახეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ყვარელში დეტექტივ-გამომძიებლის განზრახ მკვლელობის ბრალდებით, 1986 წელს დაბადებული ილია ს. დააკავეს.

გამოძიების ინფორმაციით, ბრალდებულმა მიმდინარე წლის 30 ნოემბერს, ყვარელში, ჭავჭავაძის ქუჩაზე, წლების წინ მომხდარი კონფლიქტის ნიადაგზე, ყვარლის რაიონული სამმართველოს დეტექტივის თანაშემწე გამომძიებელს, პოლიციის კაპიტანს, 1970 წელს დაბადებულ გელა ფ-ს გადაჭრილი სანადირო თოფიდან ზურგში ესროლა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. დაჭრილი პოლიციელის გადარჩენა სამედიცინო ჩარევის მიუხედავად ვერ მოხერხდა. ის საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში გარდაიცვალა. ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ილია ს. დანაშაულის ჩადენიდან რამდენიმე საათში ყვარელში, კუდიგორის ქუჩაზე დააკავეს. მას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს ტერიტორიის დატოვება და ინგლისში გამგზავრება. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულს. გამოძიება განზრახ მკვლელობის ბრალდებით მიმდინარეობს.

ინტერპრესი

ბიძინა მურღულიას ხსოვნას

ეს კაცი ქვეყანას აშენებდა

საქართველოს ტექნიკურ საზოგადოებას გამოაკლდა მისი ერთ-ერთი ღირსეული წევრი, მაღალი პროფესიონალიზმითა და სამართლიანობით ცნობილი, უმწიკვლო ბიოგრაფიის მქონე პიროვნება, მშენებლობის პროექტების პირველი დამოუკიდებელი სახელმწიფო არასაუწყებო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს ჩამომყალიბებელი და 20 წლის განმავლობაში მისი უცვლელი გენერალური დირექტორი ბატონი **ბიძინა მურღულია**.

ერთობ ძნელია ბატონ ბიძინაზე ისაუბრო და მასზე მოგონებებს „ნეკროლოგი“ დაარქვა; ძნელია განცდა იმისა, რომ კეთილშობილებითა და პატიოსნებით გამორჩეულმა ადამიანმა დატოვა საწუთრო, რომ ჩვენს გვერდით აღარ იქნება პიროვნება, რომლის ყოველდღიური ცხოვრების წესი ზნეობისა და მაღალი მორალის მაგალითი იყო მის გარშემომყოფთათვის და არამარტო მათთვის.



ბატონი ბიძინა გამორჩეული ადამიანი იყო; უაღრესად განათლებული, შრომაში დაუღალავი, უშრეტი ენერგიის პატრონი, მკაცრი, მაგრამ ამავე დროს კეთილისმოსურნე და თავმდაბალი; ბუნებისგან დიდი ნიჭითა და ინტელექტით დაჯილდოებული. როგორც ხელმძღვანელი და ორგანიზატორი უბადლო იყო — ურთულესი საკითხის განხილვისას ისეთ გადაწყვეტილებას იღებდა, რომ ბევრჯერ შემოუტრიალებია საქმე ქვეყნის სასიკეთოდ. კომპრომისებიც არ იყო მისთვის უცხო, თუმცა, საქვეყნოდ ცნობილია მისი პრინციპულობა. იგი თავის საქმეს ბოლომდე მიჰყვებოდა, არ ახასიათებდა უკან დახევა და გადაწყვეტილებების შეცვლა. მას არ შეუცვლია თავისი აზრი, როცა ფოთის პორტის „მოლოს“ მშენებლობის პროექტის განხილვისას, რომელსაც ნიდერლანდელი სპეციალისტები გვთავაზობდნენ და შესაბამისად დაფინანსებაც მათი იყო, ხელისუფალნი აჩქარებდნენ დასკვნის გაცემას; ბატონი ბიძინას მახვილ თვალს არ გამოპარვია გარკვეული ხარვეზი პროექტირებაში, რომელიც მიუღებელი იყო ჩვენი ბუნებრივი პირობებისთვის და ბოლომდე იბრძოლა თავისი სიმართლის დასამტკიცებლად. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ხდებოდა 2005-2006 წლების მიჯნაზე, ადვილი წარმოსადგენია რა წინააღმდეგობების გადალახვაც მოუწევდა ბატონ ბიძინას ჰოლანდიური მხარის წარმომადგენლებთან და აგრეთვე ამ პროექტით დაინტერესებულ ქართველ ჩინოვნიკებთან.

ასეთი მაგალითები ბევრი იყო. აქ არ შეიძლება არ გავიხსენოთ ისეთი მნიშვნელოვანი ობიექტის მშენებლობა, როგორიც „ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის“ მშენებლობის პროექტის კომპლექსური ექსპერტიზა იყო, რომელიც ბატონი ბიძინას ხელმძღვანელობით ჩატარდა. ცენტრალურმა საპროექტო ორგანიზაციამ („ჯონ ბრაუნ კვაერნერ“) მთლიანად გაითვალისწინა ქართული მხარის მიერ გაკეთებული პრინციპული ხასიათის შენიშვნები და წინადადებები; ამით პროექტის ხარისხი რამდენადმე გაუმჯობესდა. ბატონი ბიძინა შეუვალი იყო, როცა ქვეყნისთვის სასიცოცხლო და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების პროექტების ექსპერტიზას ახორციელებდა. ის მხოლოდ პროფესიონალი ავტორიტეტების აზრს იზიარებდა, გადაწყვეტილებას იღებდა ქვეყნის ინტერესების შესაბამისად და აქ არ ჭრიდა აზრი და სურვილი „ძლიერთა ამა ქვეყნისა“. იგი მოკლედ, ლაკონურად ჩამოაყალიბებდა საბოლოო გადაწყვეტილებას და ბეჭდის დასმით დაამტკიცებდა.

შეუპოვარი გახლდათ, როცა დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში... შეუპოვარი იყო მაშინაც, როდესაც ხელისუფლებამ გააუქმა 1999 წელს მიღებული კანონი „მშენებლობის პროექტების სახელმწიფო კომპლექსური ექსპერტიზისა და დამტკიცების შესახებ“, რომლის პროექტიც თავის დროზე ბატონი ბიძინას მიერ იყო მომზადებული. ცალკე აღნიშვნის ღირსია მისი კანონშემოქმედებით უნარი. ის ზედმიწევნით კარგად ერკვეოდა იურისპრუდენციაში, იყო ასევე შესანიშნავი ფინანსისტი.

იმ წლებში (მხედველობაში გვაქვს წინა ხელისუფლების ზეობის პერიოდი), როცა უზნეობამ და ძალმომრეობამ აპოგეას მიაღწია და მავანნი თვის ნაჭუჭში ყოფნას ამჯობინებდნენ, ბიძინა მურღულია არ პატიობდა ხელისუფლებას არც ერთ შეგნებით თუ შეუგნებლად მიღებულ გადაწყვეტილებას და კრიტიკითა და პუბლიკაციებით ეხმაურებოდა პრესის ფურცლებიდან. განსაკუთრებით მწვავე იყო ეს გამოხმაურება, როცა საქმე ქალაქმშენებლობასთან დაკავშირებულ საკითხებს ეხებოდა. დრომ აჩვენა, რომ ის აქაც მართალი იყო.

პროფესიული საქმიანობის პარალელურად ბატონი ბიძინა აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ საქმიანობაში. იყო რამდენიმე სარედაქციო კოლეგიის აქტიური წევრი; მისი უშუალო მონაწილეობით იქნა შედგენილი „საქართველოს მშენებელთა ენციკლოპედიური ცნობარი“, „გამოჩენილი მშენებლები და ხუროთმოძღვრები“, „სამეცნიერო-ტექნიკური, ინტელექტუალურ-საპატენტო, არქიტექტურულ-სამშენებლო, ეკოლოგიური და ეკონომიური ტერმინების მცირე განმარტებითი ლექსიკონი“ და ა.შ.

ბატონი ბიძინა მურღულიას ანკეტური მონაცემები კი ასეთია: დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1925 წელს . 1943 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებშია. იბრძოდა უკრაინისა და პოლონეთის განთავისუფლებისთვის. დაიჭრა, ომიდან დაბრუნდა უმაღლესი მთავარსარდლის სამი მადლობით, ორდენებითა და თორმეტი სხვადასხვა მედლით. 1950 წელს ამთავრებს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტს და აქედან იწყება მისი მრავალმხრივი და საინტერესო შრომითი საქმიანობა. 1957 წლიდან 1987 წლამდე ბატონი ბიძინა მოღვაწეობდა ქალაქ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში სხვადასხვა თანამდებობაზე. გაიარა გზა რიგითი ინჟინრიდან უმსხვილესი სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელამდე. რა თანამდებობაზეც არ უნდა ყოფილიყო, ის ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი შრომისმოყვარეობით, გამჭრიახობით, ერუდიციით და, რაც მთავარია, ახალი ნოვატორული იდეებით. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი მოღვაწეობა თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის კეთილმოწყობის სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე 1960-1970 წლებში. ამ პერიოდში მიმდინარეობდა თბილისში მტკვრის სანაპირო მაგისტრალებისა და სანაპირო საყრდენი კედლების მშენებლობა, დაიდგა ელგუჯა ამაშუკელის „ვახტანგ გორგასლის“ ქანდაკება, „მაჩაბლის კედელი“ და სხვა. ამ სამუშაოებს უშუალოდ ხელმძღვანელობდა ბატონი ბიძინა. 1987 წლიდან საქართველოს მშენებლობის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი ინჟინერია, 1989 წლიდან კი — სახელმწიფო არასაუწყებო ექსპერტიზის სამმართველოს უფროსი.

შეუფასებელი ამაგი დასდო ბატონმა ბიძინამ პროექტების ექსპერტიზის გაუმჯობესებას და სრულყოფას. პოლიტიკური და ეკონომიკური კატაკლიზმების პერიოდში, როცა თბილისი მოიცვა უნებართვო მშენებლობებმა, ბატონი ბიძინას ძალისხმევით შესაძლებელი გახდა ქალაქში მშენებლობების გარკვეულ რეჟიმში მოქცევა. უწინარესად, მან შემოიკრიბა მშენებლობისა და მასთან დაკავშირებული ყველა დარგის უმაღლესი კვალიფიკაციის სპეციალისტები, ამაღლდა პროექტირების ხარისხიც. ფაქტობრივად, ბატონმა ბიძინამ არქიტექტურა და მშენებლობა იხსნა იმ დამანგრეველი ტალღისგან, რომელიც ნებისმიერ ქვეყანაში ყოველთვის თან ახლავს პოლიტიკურ განუკითხაობასა და ქაოსს. მისი ხელმძღვანელობის დროს მილიონობით ლარი დაიზოგა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსებული პროექტების მშენებლობის განხორციელებაზე; იმ პერიოდში კი, როცა არ ფასდებოდა პროფესიონალიზმი და ცოდნა-გამოცდილება, ბიძინა მურღულიამ ერთ მუშტად შეკრა ქვეყანაში მოქმედი პროფესიონალები სამშენებლო საქმისა და ჩამოაყალიბა გაერთიანება „მშენებელ ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია“ (მესა), რომელსაც წლების განმავლობაში თავად ხელმძღვანელობდა.

საინტერესო იყო ბატონ ბიძინასთან ურთიერთობა; ნატიფი პოეზიის, ხელოვნების, ზოგადად კულტურის მოყვარული და დამფასებელი გახლდათ, თავადაც მშვენიერ ლექსებს თხზავდა; შესანიშნავი თამადა იყო — ენამჭევრი, სიმღერის ტრფიალი, ჭირსა და ლხინში მუდამ მხარში მდგომი, ვაჟკაცური სულის მქონე და უღალატო ადამიანი.

წმინდა დიდმოწამე მარინეს ტაძრის წინამძღოლი არქიმანდრიტი იოაკიმე, რომელთანაც ბატონ ბიძინას ურთიერთობა სვეტიცხოველის საკათედრო ტაძართან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებისას ჰქონდა, მის შესახებ ბრძანებდა: „შინაგანი კულტურა, სულიერება და ამას დამატებული გამჭრიახობა მუდამ თან სდევდა და სდევს დღესაც ამ პიროვნებას. დარწმუნებული ვარ, უფალი დაუფასებს ყველა იმ თავდადებას, რომელიც მას გაუწევია“.

გულწრფელია მისი წასვლით გამოწვეული სევდა. ბიძინა მურღულიას ხსოვნა არასოდეს გაფერმკრთალდება ჩვენს მეხსიერებაში.

მშენებელ-ექსპერტთა საქართველოს ასოციაცია „მესა“

გიორგი, გია, ბადრი, ლევან ნაჭყებიები, გიორგი ნანეიშვილი თავიანთი ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან უახლოესი ნათესავის, ყოფილი პროკურორის, შესანიშნავი მოქალაქის

კუკური რაჭდენის ძე სამუშიას

გარდაცვალებას და სამძიმარს და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს ციური კოპალეიშვილს, შვილებს ლევანს და გიორგის.



მეუღლე ირინა, შვილი ლევანი, ძმა ზურაბი, რძლები ციცო, ხათუნა, შვილიშვილები ხატია, რეზიკო, სანდრო, გიორგი, შვილთაშვილები ანდრია, სალომე, ძმისწულები გიორგი, ლევანი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

რევაზ მიქაბერიძე

პანაშვიდი 2, 3 XII, ყიფშიძის ქ. №16. გამოსვენება 4 XII, 14 სთ. ვერის წმ. პანტელეიმონის ეკლესიიდან.

ალეკო ასლანიშვილი, გურამ გოგიაშვილი, სპარტაკ ქობულია დიდი მწუხარებით თანაუგრძნობენ გია მურღულიას ძვირფასი მამის

ბიძინა მურღულიას

გარდაცვალების გამო.

რუსლან რუსია ოჯახით თანაუგრძნობს თავის უნივერსიტეტელ მეგობარს გია მურღულიას მამის, დიდებული პიროვნებისა და პროფესიონალის

ბიძინა მურღულიას

გარდაცვალების გამო.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ კოლეგასა და მეგობარს მაია იორამაშვილს მამიდის, უკეთილშობილესი ქალბატონის

ოლიკო იორამაშვილის

გარდაცვალების გამო.

კულტურის სიახლეები

თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი

კინოთეატრ „ამირანში“ საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, თბილისის რიგით მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი გაიხსნა. ფესტივალის გახსნას საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი მიხეილ გიორგაძე დაესწრო. ფესტივალი რეჟისორ მოჰსენ მაჰმალბაფის სცენარის მიხედვით გადაღებული ფილმ „პრეზიდენტით“ დაიწყო.

ყოველწლიურად ფესტივალი ერთი კონკრეტული საზოგადოებისთვის აქტუალური პრობლემის ან თემის გარშემო ერთიანდება, რომელსაც სპეციალური სექციით ეხმიანება. ამჯერად თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის მთავარი თემა გარემოს დაცვაა. ფესტივალის ოფიციალური ფერი მწვანეა, რაც მწვანე აქტივიზმს, ეკო-ცნობიერების ამაღლებასა და ადამიანის ბუნებასთან სიახლოვეს განასახიერებს. შესაბამისად, სპეციალურ სექციაში წარმოდგენილი იქნება ფილმები, რომლებიც სწორედ აღნიშნული თემატიკის ირგვლივ ერთიანდება.

თბილისის მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალის ფარგლებში ასევე დაგეგმილია მასტერკლასები, რომლებსაც სტუდენტებისა და კინომოყვარულებისთვის სპეციალურად მოწვეული კინომცოდნეები ჩაატარებენ.

თბილისის რიგით მე-15 საერთაშორისო კინოფესტივალი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით 7 დეკემბრამდე გასტანს.

ამინდი

თბილისში თოვლს ელოდებიან

აღმოსავლეთ საქართველოში 8 დეკემბრის ჩათვლით ცივი ამინდი შენარჩუნდება. როგორც გარემოს ეროვნული სააგენტოს მონიტორინგისა და პროგნოზირების ცენტრის ჰიდრომეტეოლოგიური სამსახურის უფროსმა სვეტლანა ნიორაძემ განაცხადა, დეკემბრის პირველ კვირაში, საქართველოში ამინდის მკვეთრი ცვლილებები არ ფიქსირდება, თუმცა, დასავლეთ საქართველოში უმეტესად უნალექო, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოში ცივი და ნალექიანი ამინდი იქნება.

მისივე თქმით, დასავლეთ საქართველოში მცირე სახის ნალექი წვიმის სახით დღეს და ხვალ არის მოსალოდნელი. ტემპერატურა დღისით +3; +8 გრადუსი იქნება. შემდეგ დღეებში ჰაერის ტემპერატურა უფრო მოიმატებს და 8 დეკემბრამდე 15-16 გრადუსს მიაღწევს. ღამით ყინვაა მოსალოდნელი მთაში საშუალოდ -5 გრადუსამდე, ხოლო მაღალმთაში -8 გრადუსამდე.

2-3 დეკემბერს აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ნალექი, უმეტესად თოვლის სახით. 5 დეკემბერს გამოიდარებს, თუმცა შემდეგ სინოპტიკოსები ისევ ცვალებად ამინდს პროგნოზირებენ.

4 დეკემბერს თბილისში შესაძლოა ითოვოს. ღამით ტემპერატურა -1; ხოლო დღისით (2 გრადუსი დაფიქსირდება.

ამასთან, 8 დეკემბრის ჩათვლით აღმოსავლეთ საქართველოს მთაში საშუალო ტემპერატურა -7; -8; ხოლო მაღალმთაში -12; -15.

◎ დედაქალაქი

იქ, სადაც ოდესღაც მტკვრის ჭალები იყო...

თბილისის უძველეს ისნის რაიონში ახალი კეთილმოწყობილი, ინფრასტრუქტურით, თანამედროვე მოთხოვნილებათა შესაბამისად მოწყობილი საყოფაცხოვრებო, სპორტული და დასასვენებელი ზონებით უზრუნველყოფილი, მრავალსართულიანი კორპუსების საცხოვრებელი კომპლექსი „დირსი“ შემოდგომის მიწურულს საზეიმოდ გაიხსნა.

„დირსს“ ამ ტიპის სხვა უბნებისგან განსაკუთრებით ის გამოარჩევს, რომ ის უბრლოდ

საცხოვრებელი კომპლექსი კი არა, არამედ, გარკვეულწილად, სოციალური პროექტია, ერთგვარი „ქალაქია ქალაქში“. იგი ისანში მტკვრის მარცხენა სანაპიროსა და ჩოლოყაშვილის ქუჩებს შორის მდებარეობს, იქ, სადაც ოდესღაც მდინარის ჭალები იყო. აღსანიშნავია, რომ „დირსის“ ინვესტორია აზერბაიჯანული კომპანია „AS Group Investmen“-ი, რომლის მოწვევით, საგანგებოდ „დირსის“ უბნის გახსნაზე, სხვადასხვა ქვეყნიდან თბილისში დაახლოებით ასი ინვესტორი ჩამოვიდა. სტუმრები საქართველოს საინვესტიციო პოტენციალს გაეცნენ და პერსპექტიული საქმიანი კონტაქტები დაამყარეს. გახსნის საზეიმო ცერემონიალზე ასევე მიწვეულნი იყვნენ სამამულო საქმიანი წრეების წარმომადგენლები, საზეიმო ღონისძიებებში, რომლებსაც, თბილისობის დღესასწაულის დარად დირსობა დაარქვეს, ასევე საცხოვრებელი კორპუსების მომავალი ბინადარნი მონაწილეობდნენ. მათგან ერთ-ერთმა, ოთხიოდე წლის გონამ, მამასთან ერთად მე-17 ბ კორპუსი დამსწრეთა აპლოდისმენტთა თანხლებით გახსნა. საგანგებოდ მოწყობილ სცენაზე მრავალმა საესტრადო და ფოკლორულმა ანსამბლმა დამსწრე საზოგადოებას მშვენიერი კონცერტი აჩვენა, სახელდახელოდ მოწყობილ კაფეში კი სტუმრებს ქართული და აზერბაიჯანული სამზარეულოს საჭმელებისა და ნუგბარის დაგემოვნება შეეძლოთ.

კომპანიის დამფუძნებლებმა, უცხოელ ინვესტორებთან ერთად, „დირსის“ მეორე ეტაპის დაწყების აღსანიშნავად, ერთ-ერთი მომავალი კორპუსის საძირკველში სიმბოლური კაფსულა ჩადეს.

— მოხარული ვართ, რომ ჩვენს კლიენტებთან და გავლენიან სტუმრებთან ერთად ძალიან მნიშვნელოვან დღეს, „დირსის“ პროექტის პირველი ეტაპის დასრულებას ვზეიმობთ, — განაცხადა კომპანია „AS Georgia“-ს დირექტორმა ანდრეი პატრაკოვმა. — დიდი სურვილი გვაქვს, რომ ეს მშენებლობა და ჩვენი ჯგუფის სხვა აქტივები საქართველოში განხორციელებული წარმატებული ინვესტიციის თვალსაჩინო მაგალითად იქცეს.

აღსანიშნავია, რომ „დირსის“ მშენებლობის გეგმა, მის განხორციელებას ორ ეტაპად ითვალისწინებს, რა დროსაც 11 საცხოვრებელი კორპუსი, კომპლექსის მიმდებარე გამწვანება და ინფრასტრუქტურა აიგება. მეორე ეტაპის მშენებლობა გაისად, წლის მიწურულისთვის დასრულდება. მასში 1200-ზე მეტი კაცი იქნება დასაქმებული, საცხოვრებლების გარდა, კომერციული ფართებიც აშენდება, რაც პროექტ „დირსს“ კიდევ უფრო მიმზიდველს გახდის.

ოთარ ტურაბელიძე

ელგუჯა ნადარეიშვილის ფოტო.

რეკლამა 299-62-77; 568 82-09-84..

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა**...

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13 ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

◎ კადრი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— **რაიმე** გასათბობი საშუალება წამოიღე?
— კი. შვიდი ბოთლი.

* * *

— **იცით**, რას ვფიქრობ ქორწინებაზე?
— თქვენ ცოლიანი ხართ?
— კი.
— მაშინ ვიცი.

* * *

გუშინ უკრუიპინსკის სარკინიგზო გადასასვლელზე სოფლის მოსახლეობის ძალებით თავიდან იქნა აცილებული სპირტიანი ცისტერნის თვითაალება. სოფლის მკვიდრი მამაკაცების თავგანწირვის წყალობით უკვე შუაღამისას თვითაალების საშიშროება სანახევროდ შემცირდა.

* * *

ეკლესიის სიახლოვეს ბრბოში ისმის ხმამაღალი ყვირილი:

— ძმებო, მე კვლავ შემიძლია სიარული! მე ისევ დავდივარ!
— გვითხარი, როგორ მოხდა ეს სასწაული?
— მანქანა მომპარეს.

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ქოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24